სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 თებერვალი 2005 №25 (2348) ფასი 50 თეთრი

ბეგი, დარჩი რა!

კლასიკური მეგობრობა და გაფიცვა

ახლახან დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატთა შემდეგ შექმნილი საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ნაკრებები ახალი მთავარი მწვრთნელებით ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას გუშინ, ბაკურიანული შეკრებით უნდა შესდგომოდნენ. ზაზა ტყეშელაშვილმა „თავისუფლები" მართლაც წაიყვანა შეკრებაზე. მისი მთავარი მწვრთნელობა უკვე გადაწყვეტილი ყოფილა და იქნებ ოფიციალურადაც იყოს დამტკიცებული. კობა ჭიჭეიშვილის კანდიდატურის გატანა კი ფედერაციას ალბათ ძალიან გაუჭირდება. ბერძენ-რომაელებმა გუშინ ბეგი დარჩიას გარეშე შეკრებაზე წასვლა იუარეს. ძველ თავკაცს რომ დაგვიბრუნებენ, ბაკურიანშიც მაშინ წავალთო. არადა, ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ თითოეულ დღეს ოქროს ფასი აქვს.

ბერძენ-რომაელები ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის იმედად არიან. ამ დღეებში დავილაპარაკებთ და კვირის ბოლომდე ბაკურიანულ შეკრებასაც დავიწყებთ, აუცილებლად დარჩიასთან ერთადო.

ოთარ მალლაკელიძე

ჟირაესმა ქინქლაძეს ცალი თვალი დაუთმო

საქართველოს ნაკრები მინუსებით შეიკრიბა

ბადრი ქეთლაძის ფოტო

გუშინ ქართულმა საზოგადოებამ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა ზურაბ ჟვანია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამ სიტყვებს თითქოს ველარაფერს დაამატებს კაცი... გარდა იმისა, რაც ტრაგიკულმა დღეებმა ნათლად გამოაჩინა: ზურაბ ჟვანია ამ ადამიანებისთვის მხოლოდ პრემიერი არ ყოფილა. მხოლოდ პრემიერი რაღაც ძალიან მშრალად ჟღერს.

ბოდიში, მაგრამ რაგბი თამაშია

პორტუგალია 18

საქართველო 14

ჟირესმა ნაკრებს ბურთი დაუმალა

მაღრაძემ ტრავმა დაიბრალა

ბუდრეი ჯეფერსონი ფოტოზე

საქართველოს ნაკრები, თუმც არასრული შემადგენლობით, გუშინ ლიტვასთან ოთხშაბათის ამხანაგური მატჩისთვის მოსამზადებლად შეიკრიბა.

მწვრთნელ ალენ ჟირესის ხელქვეით სულ 12 ფეხბურთელი იყო:

მეკარეები: აკაკი დევაძე, გიორგი ლომაია;

მცველები: გიორგი შაშიაშვილი, ალეკო ამისულაშვილი, კახა მჟავანაძე, გივი კვარაცხელია;

ნახევარმცველები: დავით კვირკველია, ალეკო გოგობერიშვილი, გიორგი ქინქლაძე, ზურაბ მენთეშაშვილი;

თავდამსხმელები: ლაშა ჯაკობია, ვასილ გიგიაძე.

აი, ამ ფეხბურთელებმა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ხელოვანურსაფარიან მოედანზე გუშინვე დაახლოებით ორი საათი, რომ იტყვიან, სიქის გაცლამდე ივარჯიშეს. ბურთთან ბიჭები ნახევარი საათით თუ იყვნენ ორკარას თამაშისას, დანარჩენი დრო კი გუნდმა ფიზმომზადებას დაუთმო და ჟირესის თანაშემწე ავთო ბერიძემაც სამგრადუსიან ყინვაში შეგირდები გვარიანად შეახურა.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ბევრიც არაფერი ყოფილა, თუმც მაინც აღვნიშნოთ, რომ გიორგი ქინქლაძე ნაკრებს ოდნავ იმივეშეცვლილი და ერთი შეხედვით კარგი სათამაშო ფორმით დაუბრუნდა. ჟირესის ცალი თვალიც სწორედ მისკენ იყო მიპყრობილი და წამდაუწუმ მის გვარს გაიძახოდა. ვერ გეტყვით, თავის დროზე ნაკრების ლიდერმა გიორგი ქინქლაძემ მწვრთნელზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა, თავად ფეხბურთელი კი ჟირესის ვარჯიშით კმაყოფილი დარჩა.

— ალენ ჟირესს აქამდეც ვიცნობდი, მაგრამ ვარჯიშისას პირველად შევხვდი და ერთხელაც დავრწმუნდი, რომ თავისი საქმის კარგი მცოდნეა. დღეს ნახევარი გუნდით ვივარჯიშეთ და მწვრთნელს, ეტყობა, გეგმები ცოტათი შეეცვალა, მაგრამ, რაც მთავარია, მან ყველა დავალება გასაგებად აგვიხსნა და ჩვენც შეძლებისდაგვარად შევასრულეთ. თავად კი, ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ — გვითხრა ვარჯიშის შემდეგ გიორგი ქინქლაძემ.

გუშინ შეკრებილ ფეხბურთელებს დღეს კიდევ ექვსი შეუერთდება. ესპანეთიდან მოდიან ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა და დავით ოდიკაძე, მოსკოვიდან — მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია, შოტლანდიიდან კი „რეინჯერსთან" ახალ კონტრაქტზე ჯერაც ვერშეთანხმებული ზურაბ ხიზანიშვილი.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ლიტვასთან სათამაშოდ არ ჩამოვა გიორგი დემეტრაძე. ეს ამბავი მწვრთნელებთან შეთანხმებული ყოფილა.

და ერთიც: ბერძნული „ქსანთის" ქართველმა მცველმა ლევან მაღრაძემ ფეხბურთის ფედერაციას რომ შემოუთვალა, ტრავმის გამო ნაკრებში ვერ ჩამოვალო, ამ უქმეებზე საბერძნეთის თასზე 90 წუთი ითამაშა.

დანარჩენს კი ალენ ჟირესი დღევანდელ პრესკონფერენციაზე იტყვის. დღესვე თბილისში ჩამოფრინდება ლიტვის ნაკრებიც.

კოტა ინასარიძე



ბუდრეი ჯეფერსონის ფოტოზე

შოთაზე ნიუკასლს ამბობენ

ბრიტანული ვებ-გვერდი SUNDAY MAIL იუწყება, რომ ინგლისური პრემიერლიგის „ნიუკასლს" მომავალი სეზონისთვის შოთა არველაძე სურს. თუ ამ ცნობას ვერწმუნებით, არველაძის გადაბირება „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის გრემ სუნესის იდეაა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ არველაძეს შოტლანდიურ „რეინჯერსთან" კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება.

გუშინ არველაძეს გლაზგოში დავუკავშირდით და შევიტყვეთ, რომ მის აგენტ ივან ბენეშს „ნიუკასლიდან" ჯერ არავინ დაკავშირებია, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ „ნიუკასლს" ბენეშის გვერდის ავლით სურდეს ამ საქმის გაჩარხვა.

დავით თავართქილაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

უკრაინამ არწივებამდე ჩეჩნეებთან გაისეირნა

უკრაინა

ზეგ უკრაინის ნაკრები შკოდერში ჰანს-პეტერ ბრიგელის ალბანეთს შეხვდება და შეეცდება, შესარჩევ ჯგუფში ლიდერობა განიმტკიცოს. მართალია, ოლეგ ბლოხინი ფავორიტებად „არწივებს" თვლის, მაგრამ უკრაინელთა თავკაცის ამ სიტყვებში ალბათ ეიფორიის შიში უფრო იმალება — ჩემს შეგირდებს ჯგუფში პირველობა თავში არ აუვარდეთო.

უკრაინის ნაკრებმა გუშინ ტესტმატჩი გამართა რუსული პრემიერლიგის დებიუტანტ გროზნოს „ტერეკთან" და 3:0 მოიგო.

30-ე წუთზე რუსლან როტანის ფლანგური პასით ანდრეი გუსინმა გაიტანა, ზედ შესვენების წინ იმავ როტანის გადაცემა რიკუნმა აქცია გოლად. მეორე ტაიმის შუაწელს კი დონეცკის შახტარელმა ალექსეი ბელიკმა 25 მეტრიდან გაისროლა და თავისიანებს დიდი ანგარიშით მოაგებინა. არადა, მეორე ნახევარში „ტერეკს" საკმაო უპირატესობა ჰქონია და უკრაინელები საკუთარ ნახევარზე მიუჯაჭვია.

აქვე უკრაინელთა შემადგენლობასაც გაგაცნობთ: *შოვკოვსკი (კერნოზენო 46), რუსოლი (სვიდერსკი 46), იეზერსკი (მატიუხინი 46), გუსინი (რადჩენკო 46), შელაევი (ნაზარენკო 46), ნესმაჩნი, რიკუნი (ბიდნენკო 46), როტანი (ბელეცკი 46), ტიმოშჩუკი (ბელიკი 46), გუსევი, ვენგლინსკი (ვორობეი 46).*

ნამატჩევს ოლეგ ბლოხინი სიხარულს ვერ მალავდა, პირველ ტაიმში იდეალურად ვითამაშეთ და ახლა უკვე ვიცი, როგორ სასტარტო შემადგენლობას გავიყვან ალბანეთთანო: „უკრაინის ჩემპიონატში შესვენებაა, ნაკრები სულ ახლახან შეიკრიბა და სათამაშო პრაქტიკის უქონლობის ფონზე არ მეგონა, ასე თუ გავირჯებოდით" — თქვა ბლოხინმა.

„ტერეკთან" არ უთამაშიათ უკრაინელთა მთავარ ფორვარდებს — საუცხოო ფორმაში მყოფ ლევერკუზენელ ანდრეი ვორონინს და ცოტა ხნის წინ დაშავებულ ანდრეი შევჩენკოს, თუმც „შევა" მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდა და გუშინ სერია A-ში რომის „ლაციოსთანაც" ითამაშა.

ილია ნანოგაშვილი



გურამ დოლიძეაშვილის ფოტო

აბა, გაიგე, ვინ მოდის და ვინ არ მოდის

გოჩა ტყებუჩავა რვაში იტყვის

გოჩა ტყებუჩავამ ლიტველთათვის დასახვედრი შემადგენლობა ორი კვირის წინ დაასახელა, თუმც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი გუნდის შეკოწიწებას მაინც ვერ ასცდა. საქმე ისაა, რომ ტყებუჩავას გამოძახებული ბიჭებიდან თბილისში რამდენიმე ვერ ჩამოდის.

ნაკრები გუშინ შეიკრიბა ოდენ ათკაციანი შემადგენლობით და „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მინდორზე ივარჯიშა. ამ ათეულში თითქმის სულ ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები იყვნენ. იქ იყო 20 წლის ფორვარდი სანდრო იაშვილიც, რომელიც მიმდინარე სეზონს ალბათ „თბილისში" ჩაამთავრებს, ზაფხულიდან კი... „გლაზგო რეინჯერსში" გადასვლაში ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ასეა თუ ისე, ჯერაც უცნობია, როგორი შემადგენლობით დახვდება ტყებუჩავა ლიტველებს.

„გაურკვევლობაში ვარ, ჯერაც არ ვიცი, რომელი ფეხბურთელი ჩამოდის და, ფაქტობრივად, ბოლო დღეებში სამჯერ-ოთხჯერ შევცვალე შემადგენლობა. ახლა რომ დავასახელო გუნდი, ეგებ, ისევ შეიცვალოს, 8 თებერვლისთვის კი ყველაფერი მეცოდინება" — გვითხრა ტყებუჩავამ.

აქვე ვთქვათ, რომ გუშინდელ ვარჯიშზე ზაურ სვანაძეც მოძღვრავდა ახალგაზრდულ ნაკრებს — თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილი თავკაცი ტყებუჩავას თანაშემწედ დაინიშნა.

თავად ვარჯიში კი დიდად ინტენსიური არ ყოფილა: ჯერ კვადრატებმა, მერე ნახევარ მოედანზე ორკარამ და ბოლოს ფლანგურმა ჩაწოდებებმა საათამდე გასტანა...

ილია ნანოგაშვილი



ზაურ სვანაძე
გოჩა ტყებუჩავას შეეშველება

დემეტრაძემ მალაგასთვის გაიტანა

მარბელაში შეკრებაზე მყოფი დონეცკის „მეტალურგის" ქართველი თავდამსხმელით გიორგი დემეტრაძით ესპანური „მალაგა" რომ დაინტერესდა, ადრეც გაუწყეთ. ესპანელები დონბასელთა ტესტ-მატჩებს არ აცდენენ და ყურადღებით აკვირდებიან ჩვენებურს. როგორც ამბობენ, „მალაგას" დემეტრაძის შეძენა სურს და მოლაპარაკების დასაწყებადაც მზადაა.

ესპანელთა გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაამყარა „მეტალურგ" — „სატურნის" გუშინწინდელმა სპარინგმა. უკრაინელებმა 2:1 მოუგეს რუსებს და ორივე გოლი „დემემ" შეაგდო. საერთოდაც, მატჩზე დამსწრე ჟურნალისტების თქმით, დემეტრაძე საუკეთესო ყოფილა მოედანზე და მეტოქე მცველები დაუწიოკებია.

შეგახსენებთ, რომ „მეტალურგში" გადასვლამდე გიორგი სწორედ ესპანეთში, სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადში" თამაშობდა. მაშინ ბასკურმა კლუბმა თავის ისტორიაში სარეკორდო თანხა — 5 მილიონი დოლარი გადაუხადა კიევის „დინამოს", თუმც „დემე" „სოსიედადში" დიდხანს აღარ დარჩენილა.

ძახა შალამბერიძე

ეს იყო პეტერბურგი

მარბელას საერთაშორისო ოთხთა ტურნირის პირველ მატჩში თბილისის „დინამო" სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" 1:3 დამარცხდა.

„ზენიტის" ოფიციალურ ვებ-გვერდს თუ ვერწმუნებით, მთელი შეხვედრა რუსების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და ანგარიში ძალთა რეალურ თანაფარდობას არ ასახავს. თუმც ისიც სათქმელია, რომ „დინამო" 70 წუთი კაცნაკლული თამაშობდა — მსაჯმა თბილისელთა ახალწვეული გოგიტა გოგუა ორჯერ გააფრთხილა და მოედნიდან დაითხოვა.

„ზენიტმა" პირველი გოლი 35-ე წუთზე გაიტანა. თბილისელები საკუთარ საჯარიმოში დაჯარიმდნენ, მსაჯმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა და ვლადისლავ რადიმოვმა, ვინც პეტერბურგელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ბურთი სერბ მილან ვიეშტიცას დაუგორა, რომლის დარტყმულიც უნაკლო გამოდგა. ტაიმის ბოლოს „დინამოს" გათანაბრების რეალური შანსი გაუცუდდა — მიხაილ კერჟაკოვთან პირისპირ დარჩენილმა მიხეილ კაკალაძემ უხეიროდ დაარტყა, ბურთი მეკარეს მოარტყა.

შესვენების შემდეგ „ზენიტმა" მეორე გოლამდე ექვსი-შვიდი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენა, თუმც საწადელს მე-60 წუთზე მაინც მიაღწია: იგორ დენისოვმა საჯარიმოს ხაზიდან შემობრუნებით დაარტყა და ირაკლი ზოიძეს მარცხენა კუთხეში გაუტანა. ხუთ წუთში კი იმავ დენისოვმა ოლეგ ტრიფონოვს გაასამებინა ანგარიში — რუსი ზოიძესთან პირისპირ დარჩა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ერთი საპასუხო გოლის გატანა „დინამომ" 88-ე წუთზე პენალტით შეძლო. „ზენიტის" მცველები ჯაბა დვალს ეუხეშნენ, დავით ოდიკაძემ კი კერჟაკოვს ნახტომის საპირისპირო კუთხეში დაურტყა. მართალია, პენალტამდე სამი წუთით ადრე ფეხბურთელთა რაოდენობა გათანაბრდა, ივიცა კრიჟანაცმა ტრავმის გამო თამაში ველარ გააგრძელა, მაგრამ „დინამოსთვის" ეს უკვე სულ ერთი იყო, ჩვენები ხომ 0:3 აგებდნენ.

გუნდების შემადგენლობები ასეთი გახლდათ:

ზენიტი: *მ. კერჟაკოვი, ფლახბარტი (სტროევი 69), ვიეშტიცა, მარეში, კრიჟანაცი, გორშკოვი (შუმულიკოსკი 55), ტრიფონოვი, რადიმოვი (დენისოვი 55), კასეევი (ბურაკოვი 78), მელნიკოვი (გარტიგი 34), კოჟანოვი (მაკსიმოვი 69).*

დინამო: *ზოიძე, ოდიკაძე, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, რომერო (ორბელაძე), გოგუა, კანდელაკი (ხმალაძე), ბაბუნაშვილი (ჯამარული), ქუცურუა (ნოზაძე; ჭელიძე), მელქაძე, კაკალაძე (დვალი).*

მარბელას ტურნირის მეორე მატჩს თბილისელები დღეს დონეცკის „შახტართან" ჩაატარებენ და კიდევ უფრო შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ — ნაკრების ამხანაგური მატჩისთვის მარბელადან დღეს ჩამოვლენ სალუქვაძე, ოდიკაძე და გოგუა და თბილისში დარჩენილ დინამოელებთან — დავით კვირკველიასთან, ჯაბა კანკავასთან და გიორგი შაშიაშვილთან ერთად ლიტვასთან 9 თებერვლის შეხვედრისთვის მოემზადებიან.

გუშინ კი მარბელაში გაფრინდა „დინამოს" კაპიტანი გიორგი ნემსაძე.

ტურნირის მეორე მატჩში „შახტარმა" პენალტებით დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი". რეგლამენტით, შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ თუ დასრულდა, გამარჯვებულის გამოსავლენად პირდაპირ პენალტები ინიშნება: „შახტარი" — „სპარტაკი" კი 1:1 მორჩა.

კოგა ინასარიძე

ფრანგულ-ქართული კომპანია
"ლეონსიო"
(ელექტრონული დაცვის სისტემები)

გთავაზობთ

დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით

მონტაჟი უფასოა
უპროცენტო განვადებით

მისამართი: ბოდბეს შეს. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99

ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!

ვიყიდი

თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო პროგრამებს (1936-1973) და საერთაშორისო მატჩების ბილეთებსა და აფიშებს (1972-1987)

ტელ: 8 99 241266

ზურაბ დოლიძეიანის ფოტო

ბურთი მრგვალია

სოსო გრიშიკაშვილის თბილისური პერსპექტივები

თუ ზუსტად რა შემადგენლობით გააგრძელებს სეზონს „თბილისი“, დღეს გადაწყდება. მანამდე კი ცნობილი ისაა, რომ „თბილისიდან“ ჯერ მხოლოდ შვიდი ფეხბურთელი წავიდა, ხოლო „ძველებიდან“ სოსო გრიშიკაშვილი, რევაზ ქემოკლიძე და გივი კვარაცხელია გუნდში დარჩებიან.

გრიშიკაშვილი ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე იყო და საამისო ამბიცია ალბათ დღემდე შერჩა — მას ეროვნულ ნაკრებში ათჯერ უთამაშია. მიმდინარე სეზონის დასაწყისში „თბილისმა“ გრიშიკაშვილი „ბათუმში“ განაათხოვრა, რადგან ევროტურნირზე თამაში დისკვალიფიკაციის გამო არ შეეძლო და მის ნაცვლად „ბათუმიდან“ აკაკი დევაძეს უხმო. ამ გარიგების ვადა სეზონის მეორე ეტაპისთვის ამოიწურა და 32 წლის გრიშიკაშვილიც „თბილისში“ დაბრუნდა...

— „თბილისმა“, ვინძლო, ტრანსფერზე დაყენებული რამდენიმე ფეხბურთელი დაიტოვოს და სხვა გამოცდილ მოთამაშეებსაც უხმოს — ასეთი პერსპექტივით რა შანსი ექნება გუნდს სეზონის მეორე ეტაპზე?

— ჩემპიონატში ვეცდებით, რომ მესამე ადგილი შევინარჩუნოთ, თასზე კი ბოლომდე ვიბრძოლებთ — ნახევარფინალში ვართ და ორ-სამ თამაშში შეიძლება ყველაფერი მოხდეს — ნურავინ ჩამოგვწერს, „თბილისიდან“ მხოლოდ შვიდი ფეხბურთელია წასული.

— „თბილისში“ სეზონის ბოლომდე უნდა დარჩეს სანდრო იაშვილი, რომელმაც „რეინჯერსში“ წარმატებით გაიარა სინჯები...

— იაშვილის „თბილისში“ ყოფნა მთელი გუნდისთვის დიდი სტიმული იქნება, ის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია საქართველოში. სანდროს ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ და ისიც გუნდს უნდა დაეხმაროს — იაშვილი ჩვენთვის ძალიან დიდი ძალა იქნება.

— შენი „ბათუმიდან“ „თბილისში“ დაბრუნებამდე გუნდში საკმაო დიდი კონკურენცია იყო — ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების მეკარეები — აკაკი დევაძე და ბექა შეყრილაძე. მათ გუნდი დატოვეს და ახლა ალბათ უფრო თავისუფლად იგრძნობ თავს...

— ლუის ცაკარიასმა მანამდეც მითხრა, არ მაინტერესებს, „თბილისს“ და „ბათუმს“ შორის მეკარეების გაცვლაზე რა მოლაპარაკება იყო, შენ „ლოკომოტივიდან“ გიცნობ და „თბილისში“ ყველა ვარიანტში გადმოგიყვანე. რა თქმა უნდა, დევაძე და შეყრილაძე „თბილისში“ რომ დარჩენილიყვნენ, ძალიან დიდი კონკურენცია იქნებოდა, მაგრამ ახლანდელი სიტუაციაც არ მაძლევს მოდუნების საშუალებას — „თბილისის“ ყველა ფეხბურთელს ახლა უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და მეტოქეებთან ბრძოლა უფრო გაძნელდება.

— „თბილისიდან“ წასულებმა თითქმის ყველამ „დინამოს“ მიაშურა. „დინამომ“ სხვა კონკურენტი გუნდებიდანაც დაიმატა ფეხბურთელები — როგორ ფიქრობ, „დინამო“ უპრობლემოდ გახდება ჩემპიონი?

— ვფიქრობ, „დინამოსთვის“ უკეთესი იქნებოდა, რამდენიმე ძლიერი კონკურენტი ჰყოლოდა საქართველოს ჩემპიონატში, ამ ეტაპზე კი, თუ „დინამოს“ შემადგენლობას გავითვალისწინებთ, უპრობლემოდ უნდა გახდეს ჩემპიონი — ყველაფერი აქეთკენ მიდის.

— „დინამოსთან“ დაპირისპირებაში „თბილისს“ რა შანსი ექნება?

— რეალობის გათვალისწინებით 80/20 „დინამოს“ სასარგებლოდ, მაგრამ ბურთი მრგვალია...

დავით თავართქილაძე

ზესტაფონმა ანთალია მოგებით მოიღია

„ზესტაფონმა“ ანთალიური ტესტ-მატჩების სერია მოგებით დასრულა. იმერულმა კლუბმა ზურაბ იონანიძის წყვილი გოლით 2:0 აჯობა სერბეთის ჩემპიონატის მერვეადგილოსან „რადნიჩკის“.

ზესტაფონელთა თავკაცი თემურ მახარაძე არა მარტო ამ მატჩით, მთლიანად თურქული შეკრებით ძალიან კმაყოფილია: „სერბებს საკმაოდ ნორმალური გუნდი ჰყავთ. მიუხედავად ამისა, უპირატესობა აშკარად ჩვენი იყო და უკვე პირველივე ტაიმში ორი გოლი შევაგდეთ. ახლა თბილისის „დინამოსთან“ 14 თებერვალს გასამართ საქართველოს თასის შეხვედრაზე ვფიქრობთ. ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ“ — გვითხრა გუშინ თემურ მახარაძემ.

ფეროელებმა „რადნიჩკისთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ქვაჩახია — ძამსაშვილი, თოდუა, ვაშაკიძე, შავგულიძე — თურმანიძე, კ. ჩხეტიანი, გუჩუა, განუგრავა, ნუდნი — იონანიძე.*

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ ბექა გოცირიძე და ბესარაშვილი.

ზესტაფონელთა ახალი ლიდერი ზურაბ იონანიძეა (№2)

იონანიძეს პირველი გოლისას სერგეი ნუდნიმ გაუწია ასისტენტობა, მეორედ კი კახა ჩხეტიანმა უპასა. მოკლედ, უკრაინულ „ტავრიაში“ გატარებული უიღბლო სეზონის მიუხედავად 31 წლის იონანიძეს გოლების გატანა არ დავიწყებია — ზურაბმა ლამის ყველა ანთალიურ ტესტ-მატჩში იყოჩაღა.

გუშინ საღამოს „ზესტაფონი“ თბილისში გამოფრინდა, ორი დღე დედაქალაქში დარჩება, 9 თებერვალს კი ზესტაფონში გაგრძელებს მზადებას.

ილია ნანოგაშვილი

თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“ ანთალიური სამზადისი რუმინულ „უნივერსიტატიასთან“ 1:1-ით დაიწყო, შაბათს კი ჯანი კარნევალის გუნდმა მაკედონიის ჩემპიონატის ლიდერ „რაბოტნიჩკისთან“ 1:3 წააგო.

პირველივე წუთებზე პეიჩიჩმა დაამწუხრა ვიტელები, რასაც სულ მალე ვლადიმერ გოჩაშვილის საპასუხო გოლი მოჰყვა, თუმც პირველი ტაიმის მიწურულს იმავე პეიჩიჩმა და იგნატოვმა ორი ბურთით დააწინაურეს „რაბოტნიჩკი“.

მეორე ნახევარში ორივე გუნდს შეეძლო გატანა, თუმც გოლი აღარ გასულა.

ჯანი კარნევალიმ მაკედონიელებს ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა: *ბედიაშვილი (მუჯრიშვილი 65) — ლ. მანწყავა (პ. დათუნაშვილი 27), ინწკირველი (მალიჩავა 54), ლ. კვარაცხელია (დ. ლომაია 56), თ. კობიაშვილი (კვახაძე 54) — დიღმელაშვილი (აბშილავა 46), ვ. გოჩაშვილი (ებანოიძე 67), რაზმაძე (ცხომარია 78), გველესიანი (ქუხილავა 65), — მარცვალაძე (გ. დათუნაშვილი 78), ჩიღვინაძე (სახოკია 46).*

„ვიტ ჯორჯიას“ მეორე მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ „რაბოტნიჩკი“ შეაქო, კარგად განსწავლულ ფეხბურთს თამაშობდნენ: „მარცხის მიუხედავად, ცუდად არ გვითამაშია და საგოლე მომენტებიც გვქონდა. ერთხელ მარცვალაძეს მართებდა უეჭველად გატანა, ერთხელაც მსაჯმა ინწკირველის წაქცევისთვის სუფთა პენალტი არ დაგვიდო“.

გუშინ საღამოს „ვიტ ჯორჯიამ“ კიდევ ერთი მატჩი გამართა გერმანულ რეგიონალლიგელ „ულმის“ სარეზერვო გუნდთან და 2:0 მოიგო. ასეთ სუსტ მეტოქეს ჯანი კარნევალიმაც სათადარიგო შემადგენლობა შეახვედრა, გოლები კი ირაკლი ებანოიძემ (47-ე წუთი) და ზაზა სახოკიამ (69) შეაგდეს.

დღეს ვიტელები რუმინეთის უმაღლესლიგელ „ბრაშოვს“ წაეამხანაგურებიან.

ვიტელები და რაბოტნიჩკი

ბევრი წუნი და არა წუნწუნი

გუშინ „თბილისის“ ფარმკ-ლუბმა „ოლიმპმა“ თავისსავე საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ამხანაგურ მატჩში თანალიგელ „ამერს“ უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა.

შეხვედრას ცნობილ მიზეზთა გამო წუთიერი დუმილი უძღოდა, მერე კი ისეთი თამაში გაჩაღდა, მაყურებელს არ მოუწყენია. წუნი კი იყო, მაგრამ ორივე გუნდი ისეთი მონდომებით თამაშობდა, თითქოს ამხანაგური კი არა, ოფიციალური მატჩი ყოფილიყო.

მომენტები ბლომად შეიქმნა, მეტოქეებმა თითოჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი.

ანგარიში მე-11 წუთზე ამერელმა მირზა ბუალავამ გახსნა. სტუმართა მეორე გოლი 75-ე წუთზე გიზო ჯელაძემ გაიტანა ვივი ჩხეტიანის ფლანგური ჩაწოდებით; მესამე კი, ოთხი წუთის მერე, უკვე გიზო ჯელაძისვე პასით დავით სევასტოპულომ შეაგდო.

მასპინძელთაგან ერთადერთი საპასუხო თეიმურაზ ბარამიძემ 48-ე წუთზე მეტისმეტად მახვილი კუთხიდან გაიტანა.

„ამერისთვის“ ეს ბოლო ამხანაგური მატჩი იყო თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე. ამერელები ანთალიაში 10 თებერვალს გაფრინდებიან, თბილისში კი 28-ში დაბრუნდებიან.

ბადრი ჯუმბერიძის ფოტო

დავით სევასტოპულომ „ოლიმპთან“ ამერელთა ბოლო გოლი გაიტანა

ოლიმპი: ალავიძე, როსტომაშვილი (ტომარაძე 46), მიმინოშვილი (ლ. ჩაგელიშვილი 46), ხიდაშელი (ქორიძე 46), გოგენია, ბარამიძე, მოდებაძე (ბერიძე 46), გოგოხია (ბუჯიაშვილი 46), კობახიძე (ზოზონიშვილი 31), დევდარიანი, კვარაცხელია (დ. ჩაგელიშვილი 46)

ამერი: ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ა. აბაშიძე, ელბაქიძე, კაიდარაშვილი, ბუალავა, მჭედლიშვილი (ნიკოლაიშვილი 23), სილაგავა, წინამძღვრიშვილი, დავითაშვილი.

მეორე ტაიმში შევიდნენ — ნაჭყეპია, კედელაშვილი, ზ. ჯელაძე, გვაძაბია, ბერიანიძე, დეკანოსიძე, გარუჩავა, გ. ჯელაძე, ნადირაძე, ჩხეტიანი, სევასტოპულო.

კოტე კეკელია

ორმოცდამეათედ და პირველი ორი

ინგლისი

პრემიერლიგა. XXVI ტური

ჩელსი 0:0 სიტი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, იაროშიკი (ტიაგუ 56), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კეუ-მანი (ჯ. კოული 63), გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
სიტი: ჯეიმსი, დისტინი, რ. დანი, მილსი, ტეტჩერი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, მუსამბა, სიბიერსკი (მაკმანამანი 85), შ. რაიტ-ფილიპსი, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: მაკელელე, გუდიონსენი, ბოსველტი
მსაჯი: ვები
42 093 მაყურებელი

მანჩესტერი 2:0 ბირმინგემი

1:0 კინი (55), 2:0 რუნი (78)
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, ჰაინცე, კ. რონალდო, ოში, როი კინი, გიგზი (ფ. ნევილი 82), რუნი (ლ. მილერი 82), საა (კ. ფორჩუნი 68)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, მარტინ ტეილორი (ტებილი 81), კლეპამი, პენანტი, ნაფტი (კარტერი 72), დ. ჯონსონი, ჯ. გრეი, პანდიანი, რ. ბლეიქი (კ. მორისონი 72)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ჰაინცე, ჯონსონი, ნაფტი, პენანტი
მსაჯი: გალაჰერი
67 838 მაყურებელი

ასტონ ვილა 1:3 არსენალი

0:1 ლიუნგბერგი (10), 0:2 ანრი (14), 0:3 კოული (28), 1:3 ანსელი (74)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, რიდგუელი, ჯ. სამუელი (ჰიცლშპერგერი 62), სოლანო, ჯემბა-ჯემბა (ბერსონი 66), სტივენ დევისი, ბერი, პ. ანსელი, ლ. მური
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, სიგანი, სენდეროსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ (ფლამინი 74), რეიესი (ფაბრეგასი 82), ანრი, ბერხკამპი (პირესი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სამუელი, ჯემბა-ჯემბა
მსაჯი: ბენეტი
42 593 მაყურებელი

ლივერპული 3:1 ფულემი

1:0 მორიენტესი (9), 1:1 კოული (16), 2:1 ჰიიპია (63), 3:1 ბაროში (77)
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია, ჯერარდი, ბიშკანი (ჰამანი 65), რიისე (უორნოკი 89), მორიენტესი, ბაროში (შმიცერი 82)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ფულემი: ვან დერ სარი, როსენიორი, ნაითი, რემანი, ბოკანეგრა, კლარკი, პ. ბ. დიოპი, ჰემბრიჯი, რაძინსკი, ენდი კოული, ბოა მორტე
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ლუის გარსია, რემანი, დიოპი, ჰემბრიჯი, ვან დერ სარი
მსაჯი: სტაილზი
43 534 მაყურებელი

ნიუკასლი 1:1 ჩარლტონი

1:0 დაიერი (52), 1:1 რომედალი (53)
ნიუკასლი: გიენი, კარი, ბრამბლი, ე. ობრაიენი, ბაბაიარო, ჯენასი, ფეიე, კ. დაიერი, ბოიერი (რობერი 70), შირერი, ამეობი (კლუივერტი 69)
მწვრთნელი: გრეგ სუნესი
ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, ჰერი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, რომედალი (ლისბი 84), ჰოლანდი, მერფი (იუელი 90), კიშიშევი, კონჩესკი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ფეიე, კონჩესკი
მსაჯი: ჰალსი
51 114 მაყურებელი

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბირმინგემი. როი კინმა (№16) 50-ე მანჩესტერული შეაგდო

მიდლსბრო 1:0 ბლეიზერნი

1:0 კედრუ (35)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, საუთგეიტი, რაიციგერი, კედრუ, ჯ. მორისონი (ბეიტსი 90), პარლოუ, ზენდენი, დაუმინგი, ფობი (დორიგა 73), კრისტი (გრემი 69)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბლეიზერნი: ფრიდელი, ნაილი, ნელსენი, ტოდი, დ. მატეო, ემერტონი, სევიჯი, მოკოენა (გ. ჯონსონი 60), დ. ტომპსონი (ე. რიდი 78), მ. ჰედერსენი, დიკოვი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: პარლოუ, მოკოენა, მატეო, პარლოუ
გაძევება: პარლოუ (89)
მსაჯი: რაილი
30 564 მაყურებელი

ტოტენჰემი 3:1 პორტსმუთი

0:1 კამარა (28), 1:1, 2:1 მიდო (34, 57), 3:1 კინი (83)
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, გ. კელი, ნაიბეტი (ბუნიევჩევიჩი 84), კინგი, ატუბა, საიმონ დევისი, მ. ბრაუნი, კარიკი, მ. რიდი, მიდო (რობი კინი 63), დეფო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
პორტსმუთი: ხალკიასი, ბრიმუსი (სკოპელიტისი 89), დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, მეთიუ ტეილორი, დ. კამარა, გ. ონილი (მეზაგი 63), ა. სისე, ბ. ჰიუზი, ბერგერი (ფულერი 62), აიეგბენი
მწვრთნელი: ველიმირ ზაიეცი
მსაჯი: დანი
34 700 მაყურებელი

ნორვიჩი 3:2 ვესტ ბრომვიჩი

0:1 ერნშოუ (41), 1:1 ფლემინგი (45), 1:2 რიჩარდსონი (49), 2:2 დოჰერტი (62), 3:2 ფრენსისი (85)
ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, დოჰერტი, ფლემინგი, ჩარლტონი (ბრენანი 46), გ. სტიუარტი (მაკვეიგი 68), ჰოლტი, ფრენსისი, ჰაკერბი, მაკკენზი, ეშტონი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, პარსი, კლემენტი, პ. რობინსონი, გეერა, უოლვორკი, ჯ. გრინინგი (ჰორსფილდი 89), კ. რიჩარდსონი, კ. კემპბელი, ერნშოუ
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: შიმეკა, რობინსონი, გრინინგი
მსაჯი: ფოი
24 292 მაყურებელი

კრისტალ პალასი 0:1 ბოლტონი

0:1 ნოლანი (31)
კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, დ. პაუელი, გრენვილი, რუტლეჯი (კოლკა 59), სუარესი (ენდრიუსი 88), ლიგერტვუდი (რიიჰილაჰტი 64), ს. ჰიუზი, ენდრიუ ჯონსონი, ფრიდმანი
მწვრთნელი: იან დოუვი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, ნოლანი, იანაკოპულოსი (ჰ. ჰედერსენი 76), კამპო (იერო 64), სჰიდი, დიუფი (ჯაიდი 90), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: იანაკოპულოსი
მსაჯი: ბოლი
23 163 მაყურებელი

საუთჰემპტონი 2:2 ევერტონი

0:1 ბიტი (4), 1:1 კრუჩი (36), 2:1 კამარა (55), 2:2 ბენტი (90)
საუთჰემპტონი: პ. სმიტი, ბერნარი, დევენპორტი, ლე სო, ლუნდეკვამი, დელაპი, პრატონი, ქვოში, რედნაპი, ა. კამარა, კრუჩი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, პისტონე, სტაბსი (არტეტა 59), ვეირი, იობო, ჩეშილი, კარსლი (მ. ბენტი 46), კილბეინი (დ. ფერგიუსონი 59), ბიტი, მაკფადენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ჰიბერტი, არტეტა
მსაჯი: დურსო
31 509 მაყურებელი

შაბათს ორ კაცს მოუგროვდა გოლების დამრგვალებული რიცხვი, თუმცა, ერთმა ბევრად მეტი ხმაური და ხვევნა-კოცნა გამოიწვია.

„მანჩესტერი" „ბირმინგემს" მასპინძლობდა და მუშური გამარჯვება მოიპოვა. შუა კვირაში „ჰაიბერიზე" ნათამაშევი მატჩის შემდეგ, ფრენსის არც არავინ ელოდა, თუმცა, მაინც იძალა. თამაშის პირველი ბურთი კაპიტანმა როი კინმა გაიტანა და ეს მისი 50-ე გოლი გამოდგა მანჩესტერულ კარიერაში.

ამ გოლს კინი დიდხანს ელოდა, 2003 წლის ნოემბრიდან. ჰოდა, კრისტიანო რონალდომაც ფიანდაზით მიართვა.

„500 წლის შემდეგაც, როცა ჩვენს კლუბს ახსენებენ, კინი ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო იქნება. ის ათი წლის წინათ მოვიდა გუნდში და დროს ავჯობა" — ასე შეაფასა კაპიტანი ფერგიმ.

მეორე გოლი კი უეინ რუნიმ გაიტანა, რომელიც პირველ ტაიმში უფრო ძელს უტევდა. ძელი კოხტად შეამოწმა ბირმინგემელთა ურუგვაელმა ვალტერ პანდიანიმაც.

თავისი 50-ე გაიტანა „ასტონ ვილას" სამოსში ხუან პაბლო ანხელმაც, რომელსაც შეეძლო ეს ციფრი ორიოდ დღის წინათ მოემრგვალებინა, ოლონდაც, 5 წუთში, ორი პენალტი გააფუჭა „ფულემის" კარში. შაბათსაც, ამ 50-ემ შეუმჩნევლად ჩაიარა, რადგან „ვილა" უკვე 0:3-ს აგებდა „არსენალთან", როცა ანხელმა ფეხი გამოიღო. „არსენალმა" კი ზღაპრულად ითამაშა და საქმე ისე წაიყვანა, რომ თამაშის პირველი ნახევარი სააათის თავზე, „ვილას" გულშემატკივრებმა დაშლა დაიწყეს.

აქ კი აუცილებლად უნდა გადავიდეთ „უაით ჰართ ლეინზე", სადაც ერთმა ბიჭმა ჯერ მხოლოდ პირველი გოლი გაიტანა პრემიერლიგაში და იმას მეორეც მიაყოლა. სადებიუტო მატჩში „რომადან" ნაქირავებმა ეგვიპტელმა აჰმედ ჰოსამ მიდომ თამაშის ჩარხი აღმა აატრიალა: ჯერ „პორტსმუთს" ერთი გოლი გაუქვითა, მეორეთი კი „დებები" დააწინაურა. საბოლოოდ, „ტოტენჰემმა" 3:1 მოიგო, მიდო კი თურმე, საზარდულის ტრავმით თამაშობდა.

„კარგი ხასიათის ბიჭია და მაგარი ფეხბურთელი" — შეაქო ეგვიპტელი მენეჯერმა მარტინ იოლმა.

ზედიზედ მეორე თამაშში თავისი მეორე პრემიერლიგური გოლი გაიტანა ფერნანდო მორიენტესმა, „ლივერპულმა" კი იოლად მოუგო „ფულემს".

ყველაზე მაგარი კი „ნორვიჩ" — „ვესტ ბრომვიჩის" თამაში იყო, რომელსაც მასპინძლები ორჯერ აგებდნენ და 85-ე წუთზე დაწინაურდნენ დემიენ ფრენსისის გოლით. ამ გამარჯვებას ნორვიჩელთა მენეჯერმა ნაიჯელ უორზინგტონმა „12-ქულიანი" უწოდა: „ნორვიჩ" ბოლოდან მესამეზე ამოცოცდა, „ვესტ ბრომვიჩი" კი თავად დატოვა ბოლოზე.

ლიდერი კი, ისევ „ჩელსია", რომელსაც ახლა უკვე ორი ქულაც შეუმცირდა „უპირატესობა „ლივერპულ" „მანჩესტერთან" — „ერზე" მაურინიუს გუნდმა, მიუხედავად დიდი სათამაშო უპირატესობისა, საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზე" ეგრემც ვერ მოუგო „ნიუკასლის" თანაქალაქელ „სიტის".

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონატი

XXXIII ტური

ბრაიტონი 2:3 დერბი ქაუნთი

0:1 ბისგაარდი (13), 1:1 მაკკამონი (14), 1:2 ტუდგეი (43), 2:2 მაკკამონი (60), 2:3 ტუდგეი (72)

ბარნლი 0:1 ლიდსი

0:1 ეინარსონი (66)

ლესტერი 1:1 ქრიუ

0:1 ვაიტი (36), 1:1 გილესპი (58)

მილუოლი 0:0 ქუინზ პარკი

პრესტონი 3:2 ქოვენთრი

0:1 იორგენსენი (14), 1:1 ალექსანდერი (22პ), 2:1 კროსფილი (23), 3:1 ლუკეტი (48), 3:2 მაკშეფრი (72)

რედინგი 0:0 პლიმუთი

როტერჰემი 0:0 ნოტინგემი

შეფილდ იუნ. 0:2 იფსვიჩი

0:1 ანსუორთი (20), 0:2 კუქი (61)

უოტფორდი 2:0 ჯილინგემი

1:0 ეშბი (23ს.კ.), 2:0 იგლსი (90)

უიგანი 0:1 სტოკი

0:1 ნოელ-უილიამსი (39)

ვულვზი 1:1 სანდერლენდი

0:1 ელიოტი (12), 1:1 სეოლი (13)

ვესტ ჰემი 1:0 კარდიფი

1:0 კ. ფლეტჩერი (89)

იფსვიჩი	31	18	8	5	58:37	62
უიგანი	31	16	9	6	53:23	57
სანდერლენდი	31	17	6	8	44:27	57
რედინგი	31	14	9	8	37:27	51
დერბი	32	15	6	11	46:40	51
პრესტონი	31	14	7	10	44:42	49
ვესტ ჰემი	31	14	6	11	41:39	48
შეფილდი	31	13	9	9	39:39	48
მილუოლი	31	13	7	11	35:29	46
ლიდსი	33	11	11	11	37:35	44
ქუინზ პარკი	31	13	5	13	39:42	44
ქრიუ	30	11	8	11	51:51	41
სტოკი	31	11	8	12	19:22	41
უოტფორდი	31	9	13	9	38:34	40
ლესტერი	30	9	13	8	32:28	40
ბარნლი	29	10	10	9	23:24	40
ვულვზი	31	9	12	10	43:42	39
ბრაიტონი	32	10	8	14	27:40	38
ქარდიფი	31	8	10	13	33:36	34
პლიმუთი	31	9	7	15	33:42	34
ქოვენთრი	31	8	8	15	39:52	32
ჯილინგემი	31	8	5	18	28:51	29
ნოტინგემი	31	5	11	15	28:45	26
როტერჰემი	31	3	12	16	23:43	21

პირველი ლიგა

XXXI ტური

ბარნსლი — შეფილდ უენსდი 0:0; ბრედფორდი — ტრანმერი 1:1; ბრენტფორდი — დონსი 1:0; ჩესტერფილდი — ჰარტლპული 0:1; კოლჩესტერი — ბლეკპული 0:1; ჰადერსფილდი — ლუტონი 1:1; ჰალი — ბრისტოლი 1:1; ოლდემი — სუინდონი 1:2; პიტერბრო — სტოკპორტი 2:1; პორტ ვეილი — ბორნმუთი 2:1; ტორკი — დონკასტერი 2:1; უოლსოლი — რექსემი 2:2

მეორე ლიგა

XXXI ტური

ნორთჰემპტონი — კემბრიჯი 2:2; სუონსი — საუთენდი 1:1; როუერსი — გრიმსბი 3:0; ბერი — დარლინგტონი 0:1; ჩელტენემი — როჩდეილი 2:0; ჩესტერი — რაშდენი 3:1; ლინკოლნი — ოქსფორდი 3:0; მაკლსფილდი — იოვილი 3:1; ნოტსი — მენსფილდი 0:1; სკანთორპი — კიდერმინსტერი 2:1; შრიუსბერი — ლეიტონი 4:1; უიკომბი — ბოლტონი 1:2

კონფერენსლიგა

გადადებული მატჩები

ბარტონი — ტემუორთი 1:1; აკრინგტონი — სკარბორო 2:1; დაგენემი — ფარნბორო 0:0; ფორესტ გრინი — ლეი 1:1; იორკი — ალდერშოტი 0:2

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	26	20	5	1	49:8	41	65	13	10	3	0	25:3	22	33	13	10	2	1	24:5	19	32
2 მანჩესტერი	26	16	8	2	43:16	27	56	13	9	4	0	24:6	18	31	13	7	4	2	19:10	9	25
3 არსენალი	26	16	6	4	58:30	28	54	13	7	5	1	31:16	15	26	13	9	1	3	27:14	13	28
4 ევერტონი	26	14	6	6	31:27	4	48	13	9	1	3	16:12	4	28	13	5	5	3	15:15	0	20
5 ლივერპული	26	13	4	9	41:27	14	43	13	9	1	3	23:10	13	28	13	4	3	6	18:17	1	15
6 მიდლსბრო	26	11	7	8	41:35	6	40	13	7	4	2	20:12	8	25	13	4	3	6	21:23	-2	15
7 ბოლტონი	26	11	6	9	35:32	3	39	13	6	3	4	17:12	5	21	13	5	3	5	18:20	-2	18
8 ჩარლტონი	26	11	5	10	30:36	-6	38	13	7	2	4	21:15	6	23	13	4	3	6	9:21	-12	15
9 ტოტენჰემი	26	10	6	10	33:30	3	36	13	5	3	5	25:19	6	18	13	5	3	5	8:11	-3	18
10 სიტი	26	8	9	9	31:27	4	33	13	5	5	3	17:10	7	20	13	3	4	6	14:17	-3	13
11 ასტონ ვილა	26	8	8	10	29:33	-4	32	13	7	3	3	20:10	10	24	13	1	5	7	9:23	-14	8
12 ნიუკასლი	26	7	10	9	37:43	-6	31	13	5	4	4	21:20	1	19	13	2	6	5	16:23	-7	12
13 პორტსმუთი	26	8	6	12	29:38	-9	30	13	6	2	5	18:17	1	20	13	2	4	7	11:21	-10	10
14 ბირმინგემი	26	7	8	11	29:33	-4	29	13	4	4	5	15:12	3	16	13	3	4	6	14:21	-7	13
15 ფულემი	26	8	5	13	33:44	-11	29	13	5	2	6	16:21	-5	17	13	3	3	7	17:23	-6	12
16 ბლეიზერნი	26	5	10	11	21:36	-15	25	13	2	7	4	13:18	-5	13	13	3	3	7	8:18	-10	12
17 კრ. პალასი	26	5	7	14	29:40	-11	22	13	4	2	7	13:13	0	14	13	1	5	7	16:27	-11	8
18 ნორვიჩი	26	3	11	12	26:49	-23	20	13	3	5	5	20:25	-5	14	13	0	6	7	6:24	-18	6
19 საუთჰემპტონი	26	3	10	13	28:43	-15	19	13	3	8	2	20:18	2	17	13	0	2	11	8:25	-17	2
20 ვესტ ბრომვიჩი	26	2	11	13	23:49	-26	17	13	2	6	5	11:21	-10	12	13	0	5	8	12:28	-16	5

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	17
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	15
დეფო (ტოტენჰემი)	11
პირესი (არსენალი)	10
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)	10
შ. რაიტ-ფილიპსი (სიტი)	9
ენდი კოული (ფულემი)	9
აიეგბენი (პორტსმუთი)	9
ბაროში (ლივერპული)	9

XXVII ტური

12-13 თებერვალი

არსენალი	:	კრ. პალასი
ვესტ ბრომვიჩი	:	საუთჰემპტონი
ბირმინგემი	:	ლივერპული
ბლეიზერნი	:	ნორვიჩი
ბოლტონი	:	მიდლსბრო
ჩარლტონი	:	ტოტენჰემი
ევერტონი	:	ჩელსი
ფულემი	:	ნიუკასლი
სიტი	:	მანჩესტერი
პორტსმუთი	:	ასტონ ვილა

გერმანია

ბუნდესლიგა. XX ტური

მიონხენგლადბახი 3:2 ფრაიბურგი

0:1 კულიბალი (13), 1:1 სვერკოში (25), 2:1, 3:1 სონგი (29, 49), 3:2 რიტერი (61)

მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი, კ. მური, შტრასერი, იანსენი, ტიისი, კლუგე, ბიომე (ულიხი 78), სონგი (ბროიხი 63), ნოივილი, სვერკოში (ვან ჰუტი 84)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ფრაიბურგი: გოლცი, ს. რიტერი, ხიზანეიშვილი (ბ. დიარა 46), მოჰამადი, იბერცბერგერი, ცაფიეშვილი, კრუპკე (ანტარი 53), ბაირამოვიჩი, კაირო, ს. კულიბალი, იაშვილი (კუჯუ 76)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: მური, კულიბალი, ანტარი, დიარა, ბაირამოვიჩი

მსაჯი: შმიდტი

40 000 მაყურებელი

ჰანზა 2:2 შალკე

0:1 სანდი (25), 1:1 პრიკა (66), 2:1 არვიდსონი (73), 2:2 აილტონი (90)

ჰანზა: შობერი, ჰარტმანი (რიდლეგიჩი 82), მიორლე, ჰილი, მაული, პერსონი, დ. რასმუსენი, ლიტმანენი, თ. რასმუსენი (პრიკა 57), ოლბოკი, დი სალვო (არვიდსონი 57)

მწვრთნელი: იორგ ბერგერი

შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი (ჰოოგლანდი 75), დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ლამოტე, კ. პოულსენი, ვერმანტი (დელურა 84), ლინკოლნი, ჰანკე, სანდი, აილტონი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ჰილი, მაული

გაძევება: ოლბოკი (85)

მსაჯი: ფლაიშერი

24 000 მაყურებელი

ბაიერნი 2:0 ლევერკუზენი

1:0 მაკაი (45ა), 2:0 გერერო (68)

ბაიერნი: კანი, ფრინგსი (სანიოლი 46), ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ბალაკი, ჰარგრივსი, ზე რობერტო (დაისლერი 85), შვაინსტაიგერი (დემიკელისი 61), მაკაი, ჰ. გერერო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, ჟუანი, ნოვოტნი, პლასენტე (ბაბიჩი 65), რამელო, ფრაიერი, კრჟინოვეკი, პონტე (დონოვანი 73), ბერბატოვი, ვორონინი (ფრანცა 80)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბალაკი, პონტე, ჟუანი, რამელო, ნოვოტნი

მსაჯი: ვაინერი

45 000 მაყურებელი

შტუტგარტი 1:1 კაიზერსლაუტერნი

1:0 კურანი (15), 1:1 ენგელარდტი (61)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი (მეირა 79), შტრანცლი, მ. ბაბელი, ჟივკოვიჩი, მაისნერი, სოლდო, ჰელდტი (ტიფერტი 65), ა. გლები, კურანი, კაკაუ (საბიჩი 73)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი, ჰერჩი, მეტომო, ბლანკი, რიდლი, სფორცა, ენგელარდტი, ზაიცი (კოსოვსკი 84), ჰალილ ალტინტოპი (ტებერი 78), ამანატიდისი (იანკერი 90)

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ჰინკელი, კაკაუ, ბაბელი, შტრანცლი, ლემბი, ენგელარდტი, რიდლი, ბლანკი

გაძევება: მეტომო (57)

მსაჯი: ვაგნერი

32 000 მაყურებელი

ჰანოვერი 1:3 დორტმუნდი

0:1 კოლერი (6), 0:2, 0:3 რიკენი (30, 56), 1:3 კრუპნიკოვიჩი (72პ)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ჰალფარი (თ. კრისტიანსენი 46), დე გუცმანი, ლალა, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი (კაუფმანი 66), პაუნოვიჩი, შტენდელი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, კრუშკე, კრინგე, შმოლარეკი (დემელი 78), კოლერი, რიკენი (სენესიე 90)

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: ბერგდოლმო, ბრჟენსკა, დემელი

მსაჯი: კირხერი

36 523 მაყურებელი

მაინცი 0:3 ჰერტა

0:1 ბაშთურქი (26), 0:2 ნოინდორფი (68), 0:3 ბაშთურქი (76)

მაინცი: ვახე, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, ფ. გერბერი (ტინერტი 84), ბალიტჩი (ტიურკი 63), ბაბაცი, და სილვა, აუერი (იოვანოვიჩი 78), ნ. ვაილანდი

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი, ნ. კოვაჩი (დარდაი 82), ტ. მარქსი (ჯ. რეინა 80), ჟილბერტო, ბაშთურქი, ნოინდორფი, რაფაელი (ვიშნიარეკი 67)

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: ბალიტჩი, აბელი, მარქსი

მსაჯი: შიპელი

20 300 მაყურებელი

ნიურნბერგი 1:3 ჰამბურგი

0:1, 0:2 ტაკაჰარა (31, 53), 1:2 ვიტეკი (82), 1:3 ლაუტი (90)

ნიურნბერგი: კლეეერი, ა. ვოლფი, ჰაიტო, ნიკლი, ლ. მიულერი, ვაგენფელდი, ლაგერბლომი, ბანოვიჩი (კესლინგი 57), მინტალი, დაუნი (კეტელაერი 61), შროტი (ვიტეკი 20)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, მაჰდავიკია (ლაუტი 83), ვიკი (ბენჯამინი 57), ბაინლიხი, იაროლიმი, ტაკაჰარა (ე. მპენზა 77), ბარბარესი

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: ვაგენფელდი, კლინგბილი

მსაჯი: კინჰოფერი

22 264 მაყურებელი

ბოხუმი 1:1 არმინია

1:0 მადსენი (19პ), 1:1 ბაკლი (29)

ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, კალა (ბეკმანი 82), მალტრიცი, ჰ. ბიონინგი, ცდებელი, მისიმოვიჩი (ედუ 70), ვოში, ჰ. მადსენი, ლოკვენცი, ტროიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

არმინია: ჰაინი, ოვომოიელა, ბორგესი, გაბრიელი, ბოგუში, კაუფი, დამაიერი, პორკელიო (დიალოვიჩი 83), შკელა (დურო 80), ბაკლი (კიუნცელი 86), ფ. ვატა

მწვრთნელი: უვე რაპოლდერი

გაფრთხილება: მალტრიცი, კოლდინგი, ცდებელი, ვოში, ბოგუში

მსაჯი: ტრაუტმანი

22 233 მაყურებელი

ვოლფსბურგი 2:3 ვერდერი

1:0 ბრდარიჩი (26), 2:0 ტიამი (49), 2:1 კლოზე (50), 2:2 მანინი (59), 2:3 ვალდესი (87)

ვოლფსბურგი: იენჩი, შარპეი (ტ. მარიჩი 89), ფრანცი, კიროგა, ვაიზერი, კარპანი, ტიამი, შნაორი, ტოპიჩი (ფიშერი 72), ბრდარიჩი, მ. პეტროვი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, პასანენი, ფარენჰორსტი (შულცი 66), მანინი, ფ. ბაუმანი (დ. იენსენი 52), ბოროვსკი, ფ. ერნსტი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 75)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: პეტროვი, შნაორი, ვალდესი

მსაჯი: ვაკი

24 231 მაყურებელი

გერერომ ნოვოტნი პენალტად აქცია

REUTERS მაინცელებიდან

მაინცი — ჰერტა. მასპინძელთა კართან სტუმართა შეტევები მრავლად იყო

გელზენკირხენის „შალკე“ როსტოკში მარცხს ბოლოწამს გადაურჩა და ახლა „ბაიერნს“ სამი ქულით ჩამორჩება. „ჰანზასთან“ მატჩში ანგარიში ებე სანდმა იღბალა გოლით გახსნა. მისი დარტყმული ბურთი მეტოქე მცველს მოხვდა და გეზნაცვალი შეევარდა დაბნეული შობერის კარში.

იარი ლიტმანენით გაძლიერებული „ჰანზა“ მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულების წყალობით დაწინაურდა — ჯერ რადე პრიკამ გაათანაბრა, მერე კი მაგნუს არვიდსონმა გაუტანა სტუმრებს.

თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ჰანზელი მარკუს ოლბოკი დარიო როდრიგესთან ჩხუბისთვის გააძევეს. კაცნაკლულმა მასპინძლებმა მატჩის ბოლო საკუთარი საჯარიმოში გაატარეს და აილტონისგან გოლიც გაუშვეს.

„ბაიერნმა“ მოიგო, თუმც „ლევერკუზენის“ კარში დანიშნული პენალტი მეტად საეჭვო იყო. მსაჯმა იენს ნოვოტნის პარაგვაელი პაულო გერეროს წაქცევა დააბრალა და შესვენებამდე წუთით ადრე როი მაკაიმ თერთმეტი მეტრიდან გაიტანა.

მეორე ტაიმში გერერო ზე რობერტოს პასით მცველთა ზურგსუკან აღმოჩნდა და ჰანს-იორგ ბუტთან პირისპირ გასულმა ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ჩვენ ვერ ვითამაშეთ ისე, როგორიც მსურდა — თქვა ფელიქს მაგათმა — აგრესიულობა და მონდომება გვაკლდა. შედეგით კი, ცხადია, კმაყოფილი ვარ“.

აღსანიშნავია, რომ სტუმართა ბუნგარელმა დემიტარ ბერბატოვმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გააცუდა, ერთ ეპიზოდში კი „ბაიერნი“ ოლივერ კანმა სასწაულებრივად იხსნა.

„შტუტგარტმა“ ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი ვერ მოიგო: „ნიურნბერგთან“ მარცხს „კაიზერსლაუტერნთან“ ფრე მიაყოლა. კევინ კურანიმ მასპინძლები ბორის ჟივკოვიჩის პასით დააწინაურა, შესვენების შემდეგ „ლაუტერნს“ კამერუნელი ლუსიენ მეტომო გაუძღვეს, მაგრამ კაცნაკლულმა სტუმრებმა გათანაბრება მაინც მოახერხეს — მარკო ენგელარდტმა ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით იხეირა.

დორტმუნდის „ბორესიამ“ მიჯრით მეორე გასვლით შეხვედრაში იმარჯვა. „შავ-ყვითლებმა“ ჰანოვერში იყოჩაღეს. იან კოლერმა მეექვსე წუთზე ბურთს თავი საგოლედ შეაგება, მერე კი ლარს რიკენმა ხუთიოდ მეტრიდან ერთიც მიაყოლა. რიკენმა მეორე ტაიმის დასაწყისში კვლავ იხეირა, ხოლო მასპინძლებმა ნებოისა კრუპნიკოვიჩის პენალტით მხოლოდ გულიღა მოიფხანეს.

„მაინცი“ ქვევით მიექანება და სეზონის ბოლოს ალბათ ისევ იმ მეორე ბუნდესლიგაში აღმოჩნდება, საიდანაც შარშან ზარ-ზეიმით ამობრძანდა. „ჰერტასთან“ მარცხით მაინცელები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ცხრილის ქვედა სამეულს. ბერლინელებმა მარსელინიოს გარეშეც საუცხოოდ ითამაშეს. ილდირაი ბაშთურქის ორ გოლს შორის ერთი ანდრეას ნოინდორფმა „ჩაამატა“.

ვაჟა ხუციშვილი

II ბუნდესლიგა

XX ტური

დუისბურგი 4:1 ობერჰაუზენი

0:1 ფრომერი (15), 1:1, 2:1, 3:1 კურტი (35, 40, 47), 4:1 ბუგერა (78)

აინტრახტი 1:0 კიოლნი

1:0 ვან ლენტი (59)

კოტბუსი 1:1 ზაარბრიუკენი

1:0 მოხტარი (3), 1:1 კლინგი (78)

ტრირი 2:2 მიუნხენი

1:0 მ. კელერი (50), 1:1 მ. ლემანი (65პ), 1:2 კოლომაფნიკი (68), 2:2 პეკოვიჩი (71)

აუე 2:1 ფიურტი

1:0 დემირი (18), 2:0 იუსკოვიაკი (35), 2:1 კლეინი (48)

კარლსრუე 0:1 ალემანია

0:1 ს. პინტუ (66პ)

ერფურტი 1:1 ესენი

1:0 დვორაკი (47), 1:1 კიოიო (84)

უნტერჰახინგი 2:1 ალენი

1:0 კოპადო (4), 2:0 აიგუნი (8), 2:1 შეფერი (55)

ბურგჰაუზენი — დინამო

დღეს გაიმართება

დუისბურგი	20	13	3	4	34:20	42
კიოლნი	20	12	4	4	40:22	40
ფიურტი	20	12	3	5	32:20	39
ალემანია	20	10	4	6	39:20	34
ზაარბრიუკენი	20	9	4	7	30:22	31
აინტრახტი	20	9	4	7	34:31	31
მიუნხენი	20	7	7	6	27:29	28
აუე	20	8	3	9	28:23	27
ალენი	20	6	7	7	20:22	25
ტრირი	20	5	10	5	26:30	25
უნტერჰახინგი	20	7	2	11	29:32	23
კოტბუსი	20	6	5	9	23:28	23
ბურგჰაუზენი	19	6	5	8	23:31	23
ობერჰაუზენი	20	6	4	10	25:39	22
კარლსრუე	20	5	6	9	23:31	21
ერფურტი	20	4	8	8	17:28	20
ესენი	20	3	10	7	26:36	19
დინამო	19	5	3	11	24:36	18

№	სულ							შინ							სტუმრად						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ბაიერნი	20	12	5	3	38:20	18	41	11	8	2	1	24:8	16	26	9	4	3	2	14:12	2	15
2 შალკე	20	12	2	6	30:26	4	38	10	7	1	2	19:16	3	22	10	5	1	4	11:10	1	16
3 შტუტგარტი	20	10	5	5	38:26	12	35	10	7	1	2	25:11	14	22	10	3	4	3	13:15	-2	13
4 ვერდერი	20	10	4	6	43:25	18	34	10	5	3	2	19:11	8	18	10	5	1	4	24:14	10	16
5 ჰერტა	20	8	9	3	33:17	16	33	9	2	6	1	14:7	7	12	11	6	3	2	19:10	9	21
6 ლევერკუზენი	20	9	5	6	35:27	8	32	9	7	1	1	24:11	13	22	11	2	4	5	11:16	-5	10
7 ჰამბურგი	20	10	1	9	35:30	5	31	9	5	0	4	16:14	2	15	11	5	1	5	19:16	3	16
8 კაინოვერი	20	9	4	7	26:22	4	31	11	5	2	4	15:11	4	17	9	4	2	3	11:11	0	14
9 ვოლფსბურგი	20	10	0	10	35:32	3	30	11	7	0	4	27:14	13	21	9	3	0	6	8:18	-10	9
10 ლაუტერნი	20	8	4	8	28:28	0	28	10	6	1	3	15:10	5	19	10	2	3	5	13:18	-5	9
11 დორტმუნდი	20	6	7	7	23:25	-2	25	9	2	4	3	10:11	-1	10	11	4	3	4	13:14	-1	15
12 არმინია	20	7	4	9	20:26	-6	25	9	3	3	3	7:8	-1	12	11	4	1	6	13:18	-5	13
13 ნიურნბერგი	20	6	6	8	34:34	0	24	10	2	4	4	14:14	0	10	10	4	2	4	20:20	0	14
14 გლადბახი	20	6	6	8	25:33	-8	24	11	6	2	3	19:15	4	20	9	0	4	5	6:18	-12	4
15 მაინცი	20	6	4	10	27:35	-8	22	10	5	2	3	14:12	2	17	10	1	2	7	13:23	-10	5
16 ბოხუმი	20	3	7	10	26:42	-16	16	11	2	5	4	17:19	-2	11	9	1	2	6	9:23	-14	5
17 ფრაიბურგი	20	3	6	11	17:41	-24	15	9	2	3	4	9:16	-7	9	11	1	3	7	8:25	-17	6
18 კანზა	20	2	7	11	17:41	-24	13	11	0	3	8	7:27	-20	3	9	2	4	3	10:14	-4	10

ბომბარდირები

მინტალი (ნიურნბერგი)	14
კლოზე (ვერდერი)	12
ბაკლი (არმინია)	11
ვორონინი (ლევერკუზენი)	10
ნოივილი (მიონხენგლადბახი)	9
მარსელინიო (ჰერტა)	9
ბერბატოვი (ლევერკუზენი)	9
კოლერი (დორტმუნდი)	9
მაკაი (ბაიერნი)	9
კურანი (შტუტგარტი)	9
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)	9

XXI ტური

12-13 თებერვალი

ლევერკუზენი	:	მაინცი
არმინია	:	ბაიერნი
დორტმუნდი	:	ბოხუმი
ფრაიბურგი	:	ჰანოვერი
ვერდერი	:	გლადბახი
შალკე	:	ვოლფსბურგი
ლაუტერნი	:	ჰანზა
ჰამბურგი	:	შტუტგარტი
ჰერტა	:	ნიურნბერგი

თავი ასწიე, იუვენტუსო!

პარმა — ინტერი. კრისტიან ვიერომ სერია A-ში მეასე გოლი გაიტანა

იტალია

სერია A. XXIII ტური

მილანი 2:1 ლაციო

0:1 ოდო (56პ), 1:1 შევჩენკო (72), 2:1 კრესპო (90)

მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო 60), გატუზო, პირლო, ზეედორფი (კაფუ 62), კაკა, კრესპო, ტომასონი (შევჩენკო 57)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლაციო: პერუცი, ოდო, ჯანიკედა, ფ. კოუტუ, სივილია, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დაბო, სეზარი (ლივერანი 31; სერიჩი 59), პანდევი (დი კანიო 76), როკი

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

გაფრთხილება: ე. ფილიპინი, სტამი, კოუტუ, დაბო, როკი

მსაჯი: როზეტი

65 000 მაყურებელი

პალერმო 1:0 იუვენტუსი

1:0 ბრიენძა (12)

პალერმო: გუარდალბენი, კონტეპი, ბიავა, ბარძალი, მუტარელი (მორონე 46), კორინი, ბარონე, გროსო, ძაული (სანტანა 52), ბრიენძა (მ. გონსალესი 72), ტონი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ბირინდელი (ზალაიეტა 46), ოლივერა, ემერსონი, ტაკინარდი (ბლაზი 65), ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ბარონე, ოლივერა, ძებინა, ძაული

მსაჯი: დე სანტისი

34 047 მაყურებელი

პარმა 2:2 ინტერი

1:0 სიმპლისიო (35პ), 2:0 ჯილარდინო (60), 2:1 კორდობა (76), 2:2 ვიერი (82პ)

პარმა: ს. ფრეი, ბ. კანავარო, ბონერა, ბოვო, ბეტარინი, მარკიონი (ვინიაროლი 88), სიმპლისიო, გრელა, ბრეშიანო, მორფეო, ჯილარდინო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

ინტერი: კარინი, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, კოკო (მიხაილოვიჩი 46), დ. სტანკოვიჩი, კ. ძანეტი (ადრიანო 69), დავიდსი (ზე მარია 58), ხ. ვერონი, ვიერი, ო. მარტინესი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ბონერა, ხ. ძანეტი, გრელა, მიხაილოვიჩი, ბეტარინი

გაძევება: მატერაცი (34)

მსაჯი: კოლინა

19 472 მაყურებელი

ბრეშა 0:1 უდინეზე

0:1 იაკინტა (84)

ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი (ადანი 84), ძობოლი, დი ბიაჯო, ვომე, სტანკევიჩიუსი, გუანა (დალამანო 46), მილანეტო (სკული 54), დომიცი, კარაჩოლო, დი პასკუალე

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი (ფელიპე 40), კროლდრუპი, იანკულოვსკი, დ. პიზარო, მუნტარი, პიერი (დ. ძენონი 71), მაური (დი მიკელე 58), იაკინტა, დი ნატალე

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: მუნტარი, ადანი, სკული

მსაჯი: ფარინა

8 000 მაყურებელი

სამპდორია 3:0 ფიორენტინა

1:0 ფლაკი (15), 2:0 ტონეტო (33), 3:0 დიანა (74)

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, ფალკონე, მ. პიზანო (გასბარონი 50), დიანა, ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ფლაკი (კუტუზოვი 79), როსინი (ს. ინძაგი 70)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, სავინი, არიატი, დონადელი (ობოდო 62), პიანჯერელი, გიგუ (კიელინი 62), ბოჟინოვი, მიკოლი (იორგენსენი 74)

მწვრთნელი: დინო ძოფი

გაფრთხილება: ვოლპი, დონადელი, ძენონი

გაძევება: ბოჟინოვი (8), დელი კარი (10)

მსაჯი: დონდარინი

23 000 მაყურებელი

რომა 1:1 ბოლონია

1:0 მონტელა (9), 1:1 დელა როკა (61)

რომა: ძოტი, სკურტო, დელასი, მექსეში, პანუჩი (მანსინი 68), დაკური (აკილანი 75), დე როსი, კუფრე (პეროტა 73), ტოტი, მონტელა, ა. კასანო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

მახსოვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ზურაბ ჟვანიას მიერ სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნებული ჩვენი მედალოსანი ბიჭების გულთბილი მიღება და მათ საპატივცემულოდ მის მიერ მოწყობილი ალა ფურშეტი, რომლის ამსახველმა ფოტოებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „სარბიელში“ და იმ თამაშებისადმი მიძღვნილ სპორტულ ჟურნალისტთა წიგნშიც...

მახსოვს იმავე რანგში ზურაბ ჟვანიას ვიზიტები საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ გაფართოებულ აღმასკომის სხდომებზე, სადაც ჩვენი ოლიმპიელების საჭირბოროტო საკითხები იხილებოდა.

მახსოვს ზურაბ ჟვანიას პრემიერ-მინისტრის რანგში სტუმრობა ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესიაზეც...

კიდევ ბევრი რამ მახსოვს, სხვებსაც ახსოვთ, მაგრამ ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ზურაბ ჟვანია ერთ დროს ფარიკაობას მისდევდა და მშვენიერი მოცურავეც იყო. თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლისას იქვე მდებარე აუზში ცურვაზე უვლია. როგორც ამ შვიდი წლის წინათ „სარბიელისთვის“ მოცემულ ინტერვიუში მითხრა, დიდი სპორტული მიზნების მისაღწევად ვერ იცლიდა, მაგრამ ის კი უხაროდა, რომ ცურვა კარგად ისწავლა. ცურვას ვერც მერე ელეოდა და თავისი დიდი თანამდებობების მიუხედავად, „ღაგუნა ვერეს“ აუზში შესვენებებზე დადიოდა და ყოველდღიურად 2500-დან 4000 მეტრამდე ცურავდა, რითაც თურმე დიდ თავსატეხს უჩენდა დაცვას.

ერთხელაც ამგვარად მოცურავე ზურაბ ჟვანია ფოტოფირზე აღბეჭდე. მასთან ერთად იყო მისივე მეუღლე ნინო და მათი შვილი, 5 წლის ლიზიკოც, რომელიც დედის კისერზე ჩამოკიდებული ან მამის მხრებს ჩაფრენილი ბაშობლებთან ერთად ცურავდა.

ერთ დროს პატარა ზურაბიც მამის მხრებზე იჯდა და ასე შემოიარა საქართველოს მთა-ბარი.

„ჩემს პირველ ამგვარ ლაშქრობაში რვა თვისა ვყოფილიყავარ — იხსენებდა ზურაბ ჟვანია — მაშინ მამამ ჯერ ცხრაწყაროზე, მერე კახის ტბაზე წამიყვანა. მერე და მერე ჯერ მამაჩემთან, მერე მეგობრებთან ერთად ზურგჩანთითა და კარვით მთელი საქართველო შემოვიარე. ბოლოს ასეთ ლაშქრობაში მაშინ წავედი, როცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ ახალარჩეული ვიყავი. მაშინ ჩემს მეგობრებთან, გია ბარამიძესთან, კახა გოჩაშვილთან და რაზიკაშვილთან — ვაჟა-ფშაველას შვილიშვილთან ერთად შატილში წავედი. გზად მეწყერი ჩამოწვა და მთელი 18 კილომეტრი, ცხადია, შატილიც, მუცოცი, ხეობებიცა და ულელტეხილიც ინკოგნიტოდ მოვიარეთ. აბა, ვის უნდა ვეცნეთ მძიმე ზურგჩანთამოკიდებული და სალაშქროდ გამოწყობილნი, მაგრამ ეს ჩვენ გვეგონა ასე. ერთ მშვენიერ დღეს, შატილში დაბანაკებულნი რომ ვიყავით, შორიახლოს ადგილობრივი მკვიდრი გამოჩნდა. ერთ-ერთ ჩვენგანს გამოელაპარაკა. უთქვამს, განა ვერ გიცანით, ვინცა ხართ. აი, ეგ კაცი ზურაბ ჟვანიაა. აქამდეც მინდოდა თქვენთან მოსვლა, დალაპარაკება, მაგრამ ვიფიქრე, კაცი თბილისიდან გამოქცეულა, ყოველდღიური საზრუნავისა და ფიქრისგან ისვენებს და ახლა აქ თავი რატომ მაგაბეზრო-მეთქი. მაგრამ გულმა აღარ მომითმინა, იქნებ რამე გიჭირთ, იქნებ დახმარება გინდათ. ერბო ან სხვა რამ თუ დაგჭირდეთ, ნუ მოგერიდებათ, რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგცემთო. აი, ასეთი საოცრად დელიკატური ხალხია შატილში, ზოგან კი პირდაპირ სულს ამოგხდიან პატივისცემით.

ჩემთვის მართლაც უსაყვარესი დღეები და საათებია, როდესაც შემიძლია საქართველოს მთიანეთიდან კიდევ რაიმეს გადმოვხედო“.

მერე ზურაბ ჟვანიამ მთაში გადალებული სურათები მაჩვენა. საოცარი ხალისით მიამბო თითოეული მათგანის გადაღების ისტორიაზე და მითხრა:

„პარლამენტში ნერვების წყვეტის მერე შემოვდივარ კაბინეტში, დავხედავ ამ სურათებს, მათზე აღბეჭდილ მეგობრებს, მთებს და ვწყნარდები.“

სწორედ მთების და საერთოდ ბუნების ასეთი სიყვარულის გამოც იყო, რომ ზურაბ ჟვანია საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს. სწორედ მისი წყალობითა და თანადგომით შესაძლებელი გახდა 1998 წელს ჰიმალაიზე მთამსვლელთა მეორე ქართული ექსპედიციის მოწყობა. მისივე მცდელობითა და მონდომებით გახდა შესაძლებელი ჩვენი მყინვარწვერის ფერდობებზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე, მუდმივი თოვლ-ყინულეთის საუფლოში მთამსვლელთა მიერ პატარა ტაძრის დადგმა.

„ძალიან მინდოდა, შევერთებოდი თქვენს ჯგუფს, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალმა საპარლამენტო განრიგმა, რომელმაც პრაქტიკულად არდადეგები ჩაგვიშალა, ექსპედიციაში მონაწილეობის საშუალება არ მომცა. არადა, მთელი წელიწადი ვოცნებობდი ერთი კვირით იქ ყოფნას. ასეა თუ ისე, ძალიან მიხარია, რომ დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინიციატივით მოეწყო ეს საინტერესო ასვლა მყინვარწვერზე და ამას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით სათავეში ედგა ახალციხის ეპისკოპოსი მეუფე ნიკოლოზი. ეს ალბათ უნიკალური მოვლენაა მთელ ქრისტიანულ სამყაროში, როდესაც 4000 მეტრის სიმაღლიდან ქვეყანას გადმოჰყურებს ქართული მართლმადიდებლური სალოცავი, სადაც მთამსვლელები ლოცვას შეძლებენ. იქ ისინი ალბათ ყველა თვალსაზრისით, უფრო ახლოს იქნებიან ღმერთთან“ — მითხრა მაშინ „სარბიელისთვის“ ინტერვიუში ზურაბ ჟვანიამ.

და ახლა, ცადატყორცნილ ტაძარში ასულთ, ალბათ ყოველ ლოცვაში გაახსენდებათ ზურაბ ჟვანია, რომელმაც მის დასადგმელად სახსრების მოძიებაში და შეკულიანებაში მთავარი როლი შეასრულა ისევე, როგორც ბევრ საქმეში...

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები





ცადატყორცნილ ტაძარში ასულთ, ალბათ ყოველ ლოცვაში გაახსენდებათ ზურაბ ჟვანია

ევროპის ერთა თასი 2004-05. მეორე ტური

პორტუგალია 18:14 საქართველო

5 თებერვალი. ლისაბონი. 18⁰⁰ საათი

გასული კვირის ფოტო

ბოდიში, მაგრამ რაგბი თამაშია

შეხედავ და გესიამოვნება! მეტოქესთან ჯახის წინ 22 ქართველი დეკაცი გამწკრივებულა და სამშობლოს ჰიმნს ხმას აყოლებს. ამაყები და საომრად შემართულები არიან და შენც გერევა ეს საოცარი სიამაყე, გჯერა, რომ არავის არაფერს დაუთმობენ, კისრით მიაწვებიან, უკან დაახევინებენ, ხელში აიყვანენ და მიწაზე დასცემენ, ამას უზამენ, იმას უზამენ...

უქნიათ და უქნეს კიდეც. თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო!

ქართველები რომ მაგრები ვართ, ძველი სიმღერაა და ვისაც ჩვენი არეული არ მოსწონს, იმის დალაგებულიც დავანგრიეთ!

დავანგრიეთ? ვერა, ოქრო, ვერ დავანგრიეთ. თუ დანგრევაზე (ოღონდ არა საკუთარის) მიდგა საქმე, ამასაც ცოდნა უნდა თურმე.

ახლა მთავარი, მათითვის, ვისაც რაგბი მხოლოდ ომი და მოწინააღმდეგის გადათელვა ჰგონია: რაგბი თამაშია, სპორტის სახეობაა, რომელსაც 15 კაცი თამაშობს, ვიმეორებთ, თამაშობს და ამ თამაშში გახსნილი გონებაც ისევე საჭიროა, როგორც რკინის გული და მსხვილი ბარძაყი. უფრო მეტადაცაა საჭირო და ამის გასაგებად პორტუგალიურის სწავლა აუცილებელი არა. ნებისმიერ მორაგბეს ჰკითხეთ, გაუთავებლად რატომ აგებს საქართველოს ნაკრები გუნდთან, სადაც ჩვენზე ნაკლებად კუნთმაგარი ბიჭები თამაშობენ.

მერამდენედ წავაგეთ ამ მჭლე ნაკრებთან? ეს ტრავმებია, უხეირო შეკრებაო, იტალიელი მსაჯებია, ბოლო წუთზე გაშვებული ლელოო, პირველ წუთზე გაშვებულიო...

აღარ გათავდა?! ქართველი ბეკები მოწინააღმდეგის ზურგში ბურთის დაკიდებას რომ ვერ ისწავლიან, ესეც იმ ოხერი იტალიელი კარლო დამასკოს ბრალია?!

შარშან აფრიკელები რომ იყვნენ ჩამოსულები, იმათი სათადარიგოები ჩვენს მცველს დასცინოდნენ, ნახე, რეებს აკეთებსო... რას აკეთებდა და იმ რაგბის თამაშობდა, რაც უსწავლია და მთელი ცხოვრება უთამაშია. რა ქნას, თუ მისი შეცდომა გუნდს გაშვებულ ლელოდ დაუჯდა. აფრიკელებს როგორ შევედრებით, მაგრამ ხომ შეიძლება, პორტუგალიას შევედაროთ? კი შევედრებით და ვიტყვით, ჩვენ უფრო მაგრები ვართო, მაგრამ ანგარიში რომ სხვას გვეუბნება! თურმე არ ვყოფილვართ მაგრები. იმ მცველმა გუშინწინ ლისაბონშიც ითამაშა და იგივე შეცდომები დაუშვა, რაც შარშან სამხრეთაფრიკელებთან, შარშანწინის წინ რუმინეთთან, იმის წინ რუსეთთან და ასე შემდეგ. გამოცვალეთო, ყველა ამას ვუკიჟინებთ ნაკრების მწვრთნელებს, უცხოელსაც და ქართველსაც. რას ვიზამთ, ამაზე უკეთესი არა გვყავსო... რას ვიზამთ და მომავალ წელსაც წავაგებთ პორტუგალიასთან და რუმინეთთან.

ერთხელ საქართველოს ნაკრების ძველმა თავკაცმა გურამ მოდებაძემ, ყველასთვის საყვარელმა „ბურძგლამ“ თქვა, თამაშს პირველი ხაზის მორკინალები იგებენო. ჩვენი ზორბა მორკინალები პორტუგალიას რომ მისცა, ალბათ იტალიას მოუგებს და ექვსი ერიდან ამოაგდებს, მაგრამ არ ჰყავს და მაინც გვიგებს. რა ვიფიქროთ? თუ შერკინებით არა, მაშ, რითი გვიგებს? თან არ დავავიწყდეს, რომ ეს ის პორტუგალიაა, 5-6 წლის ბორჯღალოსნებს ბდღვნად რომ არ ყოფნიდა.

რაგბის თამაში რთული და ძნელია, გაცილებით ძნელია, ვიდრე მოწინააღმდეგის და მსაჯის გინება და საქართველოს სადღეგრძელოს თქმა. თავი არავისზე ჭკვიანი არ გვგონია და ჭკუასაც არავის ვასწავლით. ბორჯღალოსნები ისევე გვიყვარს, როგორც 2002 წლის 13 ოქტომბერს „ეროვნულზე“ რუსების დამარცხების შემდეგ, მაგრამ ქართული რაგბის მომავალი მხოლოდ ბეჩავ რუსეთზე არ გადის. მხოლოდ მიწოლა და ომი არ კმარა, ცოდნა-განათლებაც საჭიროა.

და უკაცრავად, რომ ორი წლის წინ წამოჩიტულ პორტუგალიასთან არგასაშვები, მაგრამ მაინც გაშვებული ლელოები დაწვრილებით არ აღვწერეთ.

ირაკლი ფირაზვილი

პორტუგალია		საქართველო
გონსალუ მელეირუ	15	მალხაზ ურჯუკაშვილი
მიგელ პორტელა	14	ბესიკ ხამაშურიძე
დიეგუ მეტეუში	13	თედო ზიბზიბაძე
ფრედერიკო სოუზა	12	ირაკლი გიორგაძე
პედრო კერვალიუ	11	ირაკლი მაჩხანელი
მერტიმ ტუმე	10	დავით კიკნაძე
ლუიშ პისარა (კაპ)	9	ირაკლი აბუსერიძე
ვესკუ უვე	8	ბესიკ უდესიანი
პაულუ მურინელუ	7	რატი ურუშაძე
ენტონიუ კუნია	6	ილია ზედგინიძე (კაპ)
მარსელუ დორეი	5	ვიქტორ დიდებულიძე
ლურენსუ ანდრადე	4	ზურაბ მჭედლიშვილი
ჟოაკინ ფერეირა	3	გოდერძი შველიძე
მიგელ მურა	2	აქვსენტი გიორგაძე
ჟოაუ კორეია	1	მამუკა მაგრაქველიძე

შეცვლაზე შევიდნენ

კრისტიან სპაშუკი, დიეგუ კუტინიუ, გონსალუ უვე	ოთარ ბარკალაია, ლექსო გუგავა, დავით აშვეთია, მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი, მიხეილ სეჯაშვილი
2 ლელო: ფერეირა, სოუზა	*1 ლელო: შველიძე;*
1 გარდასახვა: მელეირუ; 2 საჯარიმო: მელეირუ	*2 საჯარიმო: ურჯუკაშვილი, ბარკალაია; 1 არეული: კიკნაძე*

მსაჯი: კარლო დამასკო (იტალია)



ისევ პორტუგალია

საქართველომ კვლავ წააგო პორტუგალიასთან რაგბი, მეოთხედ.

რუსეთი რომ ასე აგებს საქართველოსთან, ჩვენ გვიხარია, ვიტყვით: მორჩა, რუსეთი ყურებით გვყავს დაჭერილი და მისი აღარ გვეშინიაო.

ამგვარ ფიქრს ბევრი არაფერი სჯობია, მით უმეტეს, როცა საქმით დასტურდება. მაგრამ, ამ პორტუგალიაზე რა ვიფიქროთ, აბა, უფრო რაგბიში გამოცდილმა ხალხმა თქვას. ძველი მესაჭეებითაც და ახალი მესაჭეებითაც ამ პორტუგალიასთან ვაგებთ და ვაგებთ. ხან ისე, ხან ასე. ხან მსაჯი, ხან ბოლო წუთი, ხან პირველი ტაიმი და ვაგებთ.

ისეთი გულსატკენია, რომ... თუმცა, თავად ნაკრები უფრო არ განიცდის? ცხადია, განიცდის. ქვები, თუ რაღაც საგნებიც რა ოხრულად დააყარეს ჩვენს მოთამაშეებს. კვირა საღამოს ალბათ ბევრმა ნახა. საქართველომ რაღაცნაირად, მოუხელთებლად, თუ თვალისთვის შეუმჩნეველად წააგო. იგებდა და წააგო.

შეიძლება, საერთოდ არ ჩათვალო ეს წაგება რამედ, ოღონდაც, არ გამოვა. საქმე მსოფლიო თასისკენ მიმავალი გზაა. და საერთოდ, მიუხედავად ერთგვარი ზედაპირულობისა, ასეთ წაგებებს რომ ახლავს თან, ევროპის თასი პორტუგალიასაც მოუგია და ჩვენ თუ რამით ვჯობივართ მიღწევათა ვიწრო ნუსხაში, ალბათ იმით, რომ მსოფლიო თასზე მოვხვდით და იქ ლელო დავდეთ. მაშინ ჩვენ გვეგონა, რომ ურუგვაი უნდა დაგვემარცხებინა და სწორედ მასთან წავაგეთ. რაღაც ამგვარი ჩანს ამ პორტუგალიასთან გაუთავებელ წაგებებშიც.

ეგებ, მთლად კარგად ვერ ვხსნი ამ განწყობას, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ თამაში განვითარება და წინსვლაა. პორტუგალია კიდევ ვითარდება. საერთოდ, პორტუგალია ვითარდება, ქვეყანა და ის თავისი პატარა რაგბიც, ათას კაცს რომ აგროვებს ტრიბუნაზე, მიდის წინ და თან სწორად. აი, ამის თქმა მინდოდა.

ჩვენი მორაგბეები გმირები არიან ჩვენთვის. ახალ სახეებზეც კი გადმოდის ის სიხარული, დიდება და იმედი, ბოლო წლებში რომ მოგვანჭა ბორჯღალოს გუნდმა. იმნაირად გულის მონადირება, ჩვენმა მორაგბეებმა რომ მოახერხეს, საერთოდ წარმოუდგენელია. არ ხდება ასე, რომ ხალხმა უცებ, ასეთი სიყვარულით მიიღოს ის, რასაც ადრე ვერ ამჩნევდნენ.

ამის დაკარგვა, ან თუნდაც მისხალით შემცირება, საცოდაობა იქნება. ჩვენ ხომ ასე გვიყვარს რაგბი.

ექვსი ერი 2005

დრაკონმა დედა ინგლისს კუდი მოუქნია

5 თებერვალი. კარდიფი
უელსი 11:9 ინგლისი

უელსი: გარეტ ტომასი (კაპ), ჰალ ლუსკომბი (კევინ მორგანი), ტომ შალკინი, გევინ ჰენსონი, შეინ უილიამსი; სტივენ ჯონსი, დუეინ პილი (გარეტ კუპერი); მაიკლ ოუენი, მარტინ უილიამსი, დაფიდ ჯონსი (რაიან ჯონსი), რობ სიდოლი, ბრენტ კოკბეინი (ჯონათან ტომასი), ადამ ჯონსი (ჯონ იაპი), მეფინ დევისი, გეთინ ჯენკინსი
1 ლელო: შ. უილიამსი; 2 საჯარიმო: ს. ჯონსი, ჰენსონი

ინგლისი: ჯეისონ რობინსონი (კაპ), მარკ კუეტო, მეთიუ ტაიტი (ოლი ბერკლი), ჯემი ნუნი, ჯოშ ლიუსი; ჩარლი ჰოჯსონი, მეტ დოუსონი (ჰარი ელისი); ჯო უორსლი (ჯეიმს ფორესტერი), ენდი ჰაზელი, კრის ჯონსი, დენი გრივკოკი (სტივ ბორსვიკი), ბენ კეი, ჯულიან ვაიტი, სტივ ტომპსონი, გრემ როუნთრი (ფილ ვიკერი)
3 საჯარიმო: ჰოჯსონი

კარდიფში უელსს ინგლისი სტუმრობდა ექვსი ერის პირველ ტურში და, აბა, ისე როგორ იქნებოდა, მატჩს მესასავით მშვიდად ჩაევლო. 10-დან 7 ფავორიტად სტუმარს მიიჩნევდა, ჭკვიანი კი დანარჩენი 3 გამოდგა.

ჭკუაშიც აჯობეს „ვარდებს“ უელსელმა „დრაკონებმა“ და სისწრაფეშიც. ჭკუაში იმიტომ, რომ მწვრთნელის ხელი ამათ უფრო ეტყობოდათ, ვიდრე ინგლისელებს. სისწრაფე კი, თუმც არც ანგლო-საქსებს დაეწუნებათ, მაგრამ შაბათს მასპინძლებთან მაინც შედარებით მილეულები ჩანდნენ.

ერთადერთი, რასაც ინგლისი უელსელებზე უკეთ აკეთებდა, მოლის დაყენება გახლდათ. აქ ერთიცაა, დაყენებით კი კარგად აყენებდა, მაგრამ ხეირი ვერ ნახა, რადგანაც უელსიც ყოჩაღად დაუდგა.

პირველ ნახევარში „ვარდებმა“ 3 ქულა მოიპოვეს, საჯარიმო ჰოჯსონმა გაიტანა. უელსმა კი მეტი შეძლო: ჯერ შეინ უილიამსმა გაიტანა ლელო, შემდეგ სტივ ჯონსმა საჯარიმო. საერთოდაც, ჯონსმა კარგად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ უილიამსის ლელოს შემდეგ ჯერ გარდასახვა გააფუჭა, შემდეგ საჯარიმო, ბოლოს კი არეკნიც ააცილა, ტაქტიკურად მაინც სწორად თამამობდა და საბოლოო გამარჯვებაში დრაკონის წილიც დაიდო.

პირველი ტაიმი 8:3 დამთავრდა უელსის სასარგებლოდ, თუმცა მეორეში ინგლისი დაწინაურდა. ჰოჯსონმა ორჯერ გამოიყენა საჯარიმო და 6 ქულა მოუტანა გუნდს.

ასეთი მატჩი ჩხუბის გარეშე როგორ ჩაივლიდა. დენი გრივკოკმა (დისკვალიფიკაციას რომ ახლახან გადაურჩა), მეტოქეს შუბლში ბუცი უთავაზა. თავისიანს უელსელთა კაპიტანი გარეტ ტომასი გამოესარჩლა და მომხვდურს ეცა. შედეგად ორივე გაასინბინეს.

ბოლო წერტილი მატჩში გევინ ჰენსონმა დასვა. შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე საჯარიმო ზუსტად დაარტყა და უელსს გამარჯვება მოუტანა — 11:9.

ლადო ფულუკიძე

უელსელმა ფრანგებს შოტლანდია აჩუქა

5 თებერვალი. პარიზი
საფრანგეთი 16:9 შოტლანდია

საფრანგეთი: პეპიტო ელორგა, ორელინ რუჟერი (სებასტიან ბრუნო), ბრაიან ლიბენბერგი, დამიენ ტრაი, კრისტოფ დომინისი; იან დელაჟი (ფრედერიკ მიშალაკი), პერი მინონი (დიმიტრი იაშვილი); პატრიკ ტაბაკო (იანიკ ნიანგა), სებასტიან შაბალი, ჟულიენ ბონარი, ჟერომ თიონი (გრეგორი ლამბოლი), ფაბიენ პელუ (კაპ), პიტერ დე ვილერსი (ოლივიე მილუ), უილიამ სერვა, სილვიან მარკონე
1 ლელო: ტრაი; 1 გარდასახვა: მიშალაკი; 2 საჯარიმო: დელაჟი; 1 არეკნი: დელაჟი

შოტლანდია: კრის პატერსონი, საიმონ დანიელი, ენდი კრეიგი, ჰუგო საუთველი, შონ ლამონტი; დან პარქსი, კრის კიუსიტერი; ალისტერ ჰოგი, ჯონ პეტრი (ჯონ დანბარი), ჯეისონ ვაიტი, სკოტ მიურეი (ნათან პინისი), სტიუარტ გრივსი, გევინ კერი (ბრიუს დუგლასი), გორდონ ბალოკი (კაპ), ტომ სმიტი
3 გარდასახვა: პატერსონი

იშვიათად ხდება რაგბიში, ერთი გუნდი მეორეს ყველაფრით სჯობდეს და მაინც წააგოს. 6 ერის თასი ასეთი მატჩით გაიხსნა. შოტლანდიამ მასპინძელ საფრანგეთზე უკეთ ითამაშა, გამარჯვება კი მაინც „მამლებს“ დარჩათ.

უილიამ ვოლასსა და რობერტ ბრიუსს მოგაგონებდნენ შაბათს მობურთალი მამაცი შოტლანდიელებიო, ვკითხულობთ უცხოურ ვებ-გვერდზე.

მშობლიურ „სტად დე ფრანსზე“ მასპინძელმა ფრანგებმა მომხვდურთ პირველ ტაიმში ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს. პატერსონის მიერ ერთ აცილებულ და ორ გატანილ საჯარიმო დარტყმას დელაჟიმ და ტრაიმ 3 უხეიროდ დარტყმული საჯარიმოთი უპასუხეს და პირველი ნახევარიც 0:6 დამთავრდა „სქოთთა“ სასარგებლოდ.

მეორეში პატერსონმა ერთი საჯარიმოც გაიტანა, ფრანგთაგან კი დელაჟის წაუვიდა დარტყმები და 2 სამქულიანით უპასუხა — 6:9 შოტლანდიელთა სასარგებლოდ და ამასობაში 71-ე წუთმაც მოატანა:

„სქოთი“ ალი ჰოგი ფრანგ მცველებს დაუსხლტა, ბრწყინვალე რეიდი განახორციელა და მოედნის მარჯვენა კიდესთან, ჩათვლის მოედანში დაამიწა ბურთი. გვერდითა მსაჯმა ალამი კი ასწია, მაგრამ მთავარმა არბიტრმა ნაიჯელ უილიამსმა (რომელიც უელსიდან გახლდათ), ლელო არ ჩათვალა, აქაოდა, ჰოგმა გვერდით ხაზს დააბიჯაო. არადა, არ დაუბიჯებია, როგორც ვიდეო-გამეორებამ აჩვენა.

ესეც არ ეყო უელსელ არბიტრს და ერთ-ერთ ეპიზოდში შოტლანდიელი ჯონ პეტრი დაცვაში უხეშად თამაშისთვის მოედნიდან გააძევა. ესეც საეჭვო ეპიზოდი იყო. ამის შემდეგ მიეძალნენ ფრანგები, მაგრამ „სქოთთა“ დაცვა მაგრად დადგა და მასპინძლებს ლელო არ დაანება. იან დელაჟი ოდენ არეკნს გამორჩა და 9:9.

7 წუთი კიდევ იყო სათამაშო, როდესაც პატერსონმა ჯარიმა საკუთარი ნახევრიდან დაარტყა. დარტყმისთვის მას სიზუსტე კი არ დაუკლია, მაგრამ ძალა არ ეყო.

დამთავრებამდე 2 წუთით ადრე კი, „სქოთებმა“ დასანანი შეცდომა დაუშვეს: ჰუგო საუთველმა სცადა, ბურთი ფეხით მოეგერიებინა. ფრანგმა გრეგორი ლამბოლიმ დაუფარა და ართმეული ბურთი დამიენ ტრაის მიართვა, ამანაც ჩათვლის მოედანში შეინავარდა. მიშალაკის გარდასახვა უზადო გახლდათ და შოტლანდიელთათვის ფოლკირკის ბრძოლასავით კარგად დაწყებული ამბავი სტერლინგის ბრძოლასავით ცუდად დამთავრდა.

ლადო ფულუკიძე

6 თებერვალი. რომი
იტალია 17:28 ირლანდია

იტალია: როლანდ დე მარინი, მირკო ბერგამასკო, გონსალო კანალე (პოლ კეინ რობერტსონი), ანდრეა მასი, ლუდოვიკო ნიტოლია; ლუჩანო ორკერა, ალესანდრო ტრონკონი; სერჯიო პარისე, მაურო ბერგამასკო, აარონ პერსიკო (დავიდ დალ მასო), მარკო ბორტოლამი (კაპ), სანტიაგო დელაპი (კარლო ანტონიო დელ ფავა), მარტინ კასტროჯოვანი, ფაბიო ონგარო (გიორგიო ინტოპა), ანდრეა ლო ჩიჩერო (სალვატორე პერუჯინი)
1 ლელო: კასტროჯოვანი; 4 საჯარიმო: ორკერა, დე მარინი (3)

ირლანდია: ჯორდან მერფი, შეინ ჰორგანი, ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), გორდონ დარსი, დენის ჰიკი; რონან ოგარა (გირვან დემფსი), პეტერ სტრინგერი; ენტონი ფოლი (ერიკ მილერი), დენის ლემი, საიმონ ისტერბი, პოლ ოკონელი (დონჩა ოკალაჰანი), მალკოლმ ოკელი, ჯონ ჰეიესი, შეინ ბირნი (ფრუნკი შეანი), რეჯი კორიგანი (მარკუს ჰორანი)
3 ლელო: მერფი, სტრინგერი, ჰიკი; 2 გარდასახვა: ოგარა; 3 საჯარიმო: ოგარა

ექვსი ერის პირველი ტურის ბოლო მატჩი იტალიაში, რომის „სტადიო ფლამინიოზე“ ჩატარდა. შაბათს გამართული შეხვედრებისგან განსხვავებით გუშინდელი თამაში ყველაზე ადვილად პროგნოზირებადი იყო. „აძურიმ“ სტუმარ ირლანდიელებს საკადრისი მასპინძლობაც გაუწიეს და არც ხელცარიელნი გაუშვეს. ირლანდიელებმა მერფიმ, სტრინგერმა და ჰიკიმ მასპინძლები თითოჯერ დაალელოვეს, ოგარამ კი 2 გარდასახვა და 3 საჯარიმო დარტყმა გაიტანა.

იტალიელთაგან კინკილა ლელო ზორბა კასტროჯოვანის ანგარიშზეა.

ლიგის რაგბი

ბატონმა კევინმა, თქვენს ცქერას არაფერი აჯობებსო

საქართველო რომ ცამეტკაცა რაგბის, იგივე ლიგის რაგბის განვითარების გზას დაადგა და ნაკრებიც ჩამოაყალიბა, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, ამჯერად კი იმაზე მოგითხრობთ, რომ ევროპის ლიგის რაგბის ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი, ბატონი კევინ რადი გვესტუმრა. საქართველოს ლიგის რაგბის ფედერაციამ მასთან შესახვედრად თბილისის ერთ-ერთ კაფეში ჟურნალისტებს გვიხმო. ბატონმა კევინმა საკმაოდ ბევრი ილაპარაკა იმ აუცილებელ პირობებზე, რომლებიც სპორტის ამ ახალი სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს, თან კითხვებზე პასუხებიც არ დაიზარა.

პირველი, რაც აღნიშნა, ისაა, რომ საქართველო, როგორც სარაგბო ქვეყანა, მოეწონა. პორტუგალიასთან მატჩიც უნახავს და უბრალოდ, არ გაგიმართლათო აღნიშნა. ისიც თქვა, ქართველებს რაგბის თამაშის თანდაყოლილი ნიჭი გეტყობათ და აღნაგობითაც იმისთანა ბრგეები ხართ, ტაქტიკურ-სტრატეგიულად განსწავლის შემთხვევაში თქვენს ცქერას არაფერი აჯობებსო. რაც საკუთრივ სახეობის განვითარებას ეხება, ამისათვის საშინაო ჩემპიონატის ორგანიზება, მთავრობისა და ბიზნესმენების ხელშეწყობაა საჭიროო.

ევროპის ლიგის რაგბის ფედერაცია, რომელშიც 30-მდე ქვეყანაა გაწევრიანებული, თავადაა დაინტერესებული თამაშის პოპულარიზაციაში და ახალბედა ქვეყნებს ხშირად ეხმარება, თუმცა, როგორც ბატონმა რადმა აღნიშნა, თუ თავად არ გვექნება თამაშის სურვილი, ვერ გამოვნახავთ საარსებო თანხებს, ჩვენს ნაცვლად სხვა ვერაფერს იღონებს.

ბატონმა რადმა აუცილებელ პირობად საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობაც დაასახელა. 18 თებერვალს ლონდონში გადაწყდება, საქართველო რომელ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

ერთი კი თითქმის გადაწყვეტილია — 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენც მოვხვდებით. ჩემპიონატი ავსტრალიაახალ ზელანდიაში გაიმართება.

ლადო ფულუკიძე

საქართველოს ჩემპიონატი

თუჯი გაჯიუტდა

რუსთავს ახალგაზრდების სჯერა



ბურჯან დოლიძეს ბურთი

6 თებერვალი. ვერის ბაღი

ავიამშენი 142:73 მაკაბი

38:18 35:11 27:20 42:24

ავიამშენი: ნიკოლაძე (37), ხოშტარია (10), ორმოცაძე (14), ნინიაშვილი (19), ბერძენიშვილი (18); ბ. ნოზაძე (15), თორთლაძე (13), ბოლქვაძე (5), წოწელია (11), მოსეშვილი

მაკაბი: ბადრიძე (8), კორკოტაძე (20), ერგემლიძე, ფიცხელაური, ვაშაკიძე (28); პერტენავა (7), ჯანელიძე (10)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

დინამო 72:61 თსუ

14:18 25:10 20:13 13:20

დინამო: გამყრელიძე (6), ბ. ბერიშვილი (9), ლაფანაშვილი (6), ჩხატარაშვილი (19), კილაძე (11); სუხიშვილი (10), კვიმსაძე (9), ბექაური (2)

თსუ: ვეფხვაძე (2), მაისურაძე (10), ბაქრაძე (3), ფანჩულიძე (10), ხიზანიშვილი (3); სანიკიძე (11), ბერაია (12), მარხვაშვილი (4), გაფრინდაშვილი (6)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

სტუ 88:77 თუჯი

20:23 22:23 23:9 23:22

სტუ: დ. ბერიშვილი (1), მიქაძე (5), მარკოიშვილი (22), შანიძე (25), ჯაფარიძე (2); კეიდია (13), გოგობერიშვილი (14), გაგნიძე (4), მათიაშვილი (2), კოხრეიძე

თუჯი: ჟღენტი (2), არწივიძე (6), ჩაჩუა (2), ტყეშელაშვილი (9), დანელიანი (21); ცეკვავა (16), მურჯიკნელი (14), ჭოჭუა (7), ლიპარტელიანი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

5 თებერვალი. თელავი

ბურჯი 91:66 სსუ

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ მატჩში ჩემპიონატის ორი ყველაზე მზარდი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს, თამაშმა არ გაამართლა. თსუ — „დინამოს“ მხოლოდ პირველი ტაიმი იყო დაძაბული, შემდეგ კი, ვიცე-ჩემპიონებმა თამაშს ალღო აუღეს და

„დინამო“ — თსუ-ს წინასამატჩო პრესკონფერენცია, რომელიც პარასკევს უნდა გამართულიყო, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის გამო ჩაიშალა. ამ ლოგიკით, საკუთრივ ეს მატჩიც უნდა გადადებულიყო, რაკი გუშინ პრემიერ-მინისტრი დაკრძალეს, ხოლო 6 თებერვალი გლოვის დღედ იყო გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, გუშინ ვერის ბაღმა მორიგ ტურს უმასპინძლა და მატჩები დაშვებული, შავლენტშებმული ხუთჯერიანი დროშის თანხლებით მიმდინარეობდა.

იმხელა უპირატესობა მოიპოვეს, გადამწყვეტ ათწუთეულში პრობლემა აღარ შექმნიათ.

გუნდებმა თავიდანვე სწრაფი თამაშის სტილი ირჩიეს, უკანმოუხედავად უტევდნენ და ქულების კონტრშეტევებით მოპოვებას ეშურებოდნენ. თუმც საშემსრულებლო ოსტატობა აკლდათ და წამოწყებულ შეტევას შედეგიანად ვერ აგვირგვინებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ანგარიში ტაატით იზრდებოდა — მე-8 წუთისთვის გუნდებს მხოლოდ 8-8 ქულა მოეგროვებინათ, მეოთხედის მიწურულს კი სტუდენტთა მარდმა უკანახაზელმა ირაკლი მაისურაძემ იყოჩაღა. მან სამქულიანი ჩააგდო და თსუ-მაც მცირე შესვენებისთვის ოთხქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 18:14.

მეორე ათწუთეულიც თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. „დინამომ“ ჩამორჩენა აღმოიფხვრა და ანგარიში მორიგეობით იზრდებოდა. თსუ-ს ზურაბ სანიკიძე გამოადგა, რომელიც კარგა ხანი თავის ძმას სტუმრობდა საფრანგეთში და სტუდენტებს ახლაღა შეუერთდა. მას უხვად ამარაგებდა პასებით ირაკლი მაისურაძე და გიორგი მარხვაშვილი, სანიკიძესაც ფარქვეშიდან მიზანი არ ღალატობდა.

რომ ნახეს, ასეთი სწრაფი თამაშით ვერაფერს გახდებოდნენ, დინამოელებმა ტაქტიკა შეცვალეს და ზონაში ჩადგნენ. ისინი მეტოქეს მჭიდროდ მეურვეობდნენ და საკუთარ საჯარიმოში არ აჭაჭანებდნენ. თსუ-მ მეტოქის ზონა ვერ გაჭრა და შორი სროლებიც არ წაუვიდა, რითაც, ცხადია, „დინამომ“ ისარგებლა და დიდი შესვენებისთვის 11-ქულიანი ლიდერობა დაიბევა.

მესამე მეოთხედში სურათი არ შეცვლილა. „დინამო“ წარმატებით იცავდა თავს და ლიდერობას ნელ-ნელა იმტკიცებდა. ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა მესამე ათწუთეული 12-ქულიანი „გაქცევით“ დაიწყეს და 25-ე წუთისთვის „დინამო“ უკვე 51:28 იგებდა. დინამოელთა უპირატესობა იმხელა იყო, რომ თამაშმა თითქოს აზრი დაკარგა, თუმც ბოლო მეოთხედში თსუ-მ მაინც გაიბრძოლა და ეს ისევ იმ თამაშის სტილით მოახერხა, ბოლო დროს სულ ხშირ-ხშირად რომ იყენებს.

დღეს საქართველოში პრესინგს თუ ვინმე თამაშობს, უპირველესად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც ისე მოხდენილად იყენებს ხოლმე თამაშის ამ ტაქტიკას, ხანდახან დაგაეჭვებს კიდეც, ნუთუ ამას ქართული კლუბი ახერხებსო. თსუ-ს პრესინგის წყალობით ჩაჭრილი ბურთები ქულებად რომ გარდაესახა, ამ თამაშს უეჭველად მოიგებდა, მაგრამ სტუდენტები „დინამოსთვის“ ართმეულ ბურთებს აცილებდნენ და ვიცე-ჩემპიონებიც მშვიდად მივიდნენ გამარჯვებამდე.

ამის შემდეგ „სტუ-ჯეოსელისა“ და რუსთავის „თუჯის“ მატჩი გაიმართა, რომელიც მოულოდნელი დაძაბულობით გამოირჩა და ის თერთმეტქულიანი სხვაობა, რითაც ტექნიკოსებმა იმარჯვეს, ბოლო წუთებზე მოდის.

რუსთავი ყოველთვის იყო ნიჭიერების საბადო და ამ ქალაქში ახლაც არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა ვარჯიშობს. ოთარ ხმელიძეს ხელეწიფება ბავშვებისგან კარგი კალათბურთელების აღზრდა და, რა თქმა უნდა, მათი თავიდანვე აღმოჩენა. დღეს „თუჯში“ ორი-სამი გამოცდილი კალათბურთელი თამაშობს, დანარჩენი 17-18 წლის ბიჭები არიან, რომლებმაც გუშინ ჩემპიონობაზე დაგეშილი სტუ სერიოზულად ანერვიულეს.

რუსთაველები შანსს ბოლომდე რომ ინარჩუნებდნენ, არა მხოლოდ მათი ყოჩაღი გარჯის, არამედ სწორად შერჩეული ტაქტიკის წყალობით იყო. ოთარ ხმელიძემ იცოდა, რომ სტუ უკანახაზელებითაა საშიში, რომლებიც სწრაფად და კონტრშეტევებით თამაშობენ. ჰოდა, „თუჯში“ თავიდანვე ორი გამთამაშებელი — არჩილ ჟღენტი და დავით არწივიძე ვიხილეთ, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს ტექნიკოსთა დაბლების გაუვნებლება და ფარქვეშ რუსთაველებს საქმე გაუიოლეს.

იური დანელიანმა და ლევან ტყეშელაშვილმა ფარქვეში ჩინებული ტანდემი შექმნეს და „თუჯის“ მიერ პირველ მეოთხედში მოპოვებული 23 ქულიდან 20 ამათ ანგარიშზე იყო. სტუ-ში კი მექულეობა გიორგი მარკოიშვილმა ითავა, რომელმაც საწყის მეოთხედში 16 ქულა მოიპოვა.

პირველი მეოთხედის მოგებას „თუჯის“ ახალგაზრდებზე უარყოფითად არ უმოქმედია და მეორეში რუსთაველები უფრო ათამაშდნენ.

არ იქება, გიორგი ცეკვავაზე არ ითქვას, რომელმაც, სიყმაწვილის მიუხედავად, ტოლი არაფერში დაუდო ბევრად გამოცდილ ოპონენტებს. ამ ახალგაზრდის წყალობით, „თუჯმა“ მეორე მეოთხედიც მოუგო სტუ-ს და ტექნიკოსთა მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი აიძულა, დიდ შესვენებაზე საგანგებო თეორიული მეცადინეობა მოეწყო გასახდელში.

მეორე ტაიმში სტუ მძლავრად ათამაშდა, იერიში ფარზე მიიტანა და ამ საქმეში თავი ფორვარდმა ირაკლი შანიძემ გამოიჩინა. ტექნიკოსებმა მიჯრით 8 ქულა მოიპოვეს, რუსთაველებმა შეცდომებს უმატეს და თბილისელებმა ლიდერობა რომ მოიპოვეს, 10 ქულითაც დაწინაურდნენ.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუ 65:55 იგებდა და ყველა რომ რუსთაველთა გაცამტვერებაზე ფიქრობდა, ლამის პირუკუ მოხდა. სწორედ აქ იყოჩაღა „თუჯის“ ჭაბუკობამ — მიხეილ ჭოჭუამ, დავით მურჯიკნელმა და, რა თქმა უნდა, გიორგი ცეკვავამ. ამათი წყალობით „თუჯი“ 2 ქულით მიუახლოვდა სტუ-ს და კარგა ხანს კუდშიც მისდევდა, თუმც გადამწყვეტ წუთებში მაინც გამოცდილებამ იძალა და ბოლო წუთნახევარში სტუ-მ 8 უპასუხო ქულა აართვა დაუღვინებელ რუსთაველებს.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

4 თებერვალი

ვილუოკი 92:90 კლიპერსი

ვილუოკი: უილიამსი (9), რედი (82), ვეისონი (15), სმიტი (7), გაძურიჩი (11 ქულა, 14 მოხსნა); ფაჩულია (22 წუთი, 9 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ჯეიმსი (6), ვან ჰორნი (4), კუკოჩი (2)

კლიპერსი: ბრენდი (31)

ტორონტო 103:100 ვაშინგტონი

ტორონტო: როუზი (26), მარშალი (20), ბოში (16 ქულა, 11 მოხსნა)

ვაშინგტონი: ჯემისონი (30 ქულა, 11 მოხსნა), არენასი (21), ჰეიესი (18)

ფილადელფია 103:85 ატლანტა

ფილადელფია: აივერსონი (22)

ატლანტა: უოლკერი (14)

ინდიანა 95:94 დალასი

ინდიანა: ონილი (23), ჯონსონი (21)

დალასი: ნოვიცკი (32), სტეკჰაუზი (21)

ბოსტონი 112:100 ორლანდო

ბოსტონი: ლაფრენცი (19), პირსი (18)

ორლანდო: ფრენსისი (26)

მინესოტა 113:119 ჰიუსტონი

ძირითადი დრო 104:104

მინესოტა: კასელი (24 ქულა, 11 პასი), გარნეტი (22 ქულა, 14 მოხსნა)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (40 ქულა, 19 მოხსნა), მინგი (23 ქულა, 14 მოხსნა)

საკრამენტო 116:115 ნიუ იორკი

საკრამენტო: ბიბი (40), მილერი (35)

ნიუ იორკი: მარბერი (37), ტ. ტომასი (23), მუჰამედი (16 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი 101:89 შარლოტი

პორტლენდი: სტუდემაიერი (23), ტელფაიერი (23), პატერსონი (21)

შარლოტი: ბრეუეცი (17 ქულა, 17 მოხსნა), ელი (16 ქულა, 16 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი 90:82 ნიუ ორლეანი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25)

ნიუ ორლეანი: როჯერსი (23), დიკაუ (16)

5 თებერვალი

ვაშინგტონი 112:94 მილუოკი

ვაშინგტონი: არენასი (31 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ჰეიესი (15), ჯემისონი (9), ჯეფრისი (7), ჰეივუდი (13); ტომასი (23), დიქსონი (8), პროფიტი (4), ბლეიკი (2), რუფინი

მილუოკი: უილიამსი (4), რედი (26), მეისონი (13), სმიტი (6), გაძურიჩი; ჯეიმსი (22), კუკოჩი (9), ვან ჰორნი (7), ჰამილტონი (5), სტრიკლენდი (2), ფაჩულია (13 წუთი, 0 ქულა), სანტიაგო

დენვერი 107:91 გოლდენ სტეიტი

დენვერი: მილერი (8), ბაკლერი (10), ენტონი (18), მარტინი (24), კემბი (6); ნენე (16), ვაიტი (10), ჯონსონი (8), ბოიკინსი (4 ქულა, 10 პასი), ელსონი (3), ცძიტიშვილი (4 წუთი, 0 ქულა)

გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (17), რიჩარდსონი (13), დანლივი (14), ნახერა (4), ფოილი (6); ჩაბარკაპა (16), ფლორესი (8), დევისი (4), ფიშერი (4), პიეტრუსი (3), ჩინი

მაიამი 108:97 ჩიკაგო

მაიამი: ონილი (26 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება), ვეიდი (25), ე. ჯონსი (16), დოლიკი (16)

ჩიკაგო: გორდონი (25), დენგი (18)

ფინიქსი 114:106 ნიუ იორკი

ფინიქსი: სტუდემაიერი (32 ქულა, 15 მოხსნა), ნეში (26 ქულა, 14 პასი), მარიონი (23 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ იორკი: მარბერი (33)

სიეტლი 113:99 შარლოტი

სიეტლი: ალენი (25), რადმანოვიჩი (23)

შარლოტი: ელი (22), აპონო (17)

ნიუ ჯერსი 107:85 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: კარტერი (41 ქულა, 11 მოხსნა), კიდი (12 ქულა, 14 პასი)

დეტროიტი: პრინსი (17), მაკდაიესი (15)

ატლანტა 79:84 ინდიანა

ატლანტა: ვოლკერი (26 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ჰარინგტონი (26)

ინდიანა: ონილი (38)

კლივლენდი 101:92 ორლანდო

კლივლენდი: ჯეიმსი (30), მაკინისი (17), გუდენი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: ჰილი (17), ფრენსისი (15)

იუტა 108:92 ნიუ ორლეანი

იუტა: ბუზერი (18), კირილენკო (17)

ნიუ ორლეანი: ნახბარი (21)

პორტლენდი 114:108 საკრამენტო

პორტლენდი: სტუდემაიერი (30), რენდოლფი (28), ვან ექსელი (23)

საკრამენტო: ბიბი (35), ვებერი (20 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი, 4 ჩაჭრა)

პარიზული სამი მედლით ჩატარდა



ივერი ჯიქურაული

რიგითი საერთაშორისო ტურნირებიდან ყველაზე პოპულარული პარიზის პირველობა ამ უქმეებზე ჩაჭიდავდა და ძიუდოს ევროპის ფედერაციის გადაწყვეტილებით ამიერიდან „მსოფლიოს სუპერთასი“ ეწოდა. მოსკოვის სუპერთასისა და თბილისის თასისგან განსხვავებით საფრანგეთში გაცილებით ძლიერმა ძიუდოისტებმა ისურვეს ჩასვლა.

ტრადიციულად პარიზული ტურნირის შემდეგ სტუმარი ნაკრებები იქვე რჩებიან და დიდი ერთობლივი წვრთნები იმართება. ძლიერი შემადგენლობების შეკრების უმთავრესი მიზეზიც სწორედ ფრანგული ვარჯიშებია, ჰოდა საქართველოს ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმაც თან საუკეთესოები იახლა. ოლიმპიური გუნდიდან პარიზში მხოლოდ გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100კგ) ვერ წავიდნენ. თავდაპირველ განაცხადში ორივე კი იყო, მაგრამ ხელი ტრავმებმა შეუშალათ. გუჯეჯიანს რომ „თბილისობაზე“ ნატკენი მაჯა საფრანგეთში ჭიდაობის საშუალებასაც აღარ მისცემდა ტურნირის მიმოხილვაშივე გაცნობეთ. მამრიკიშვილის ტრავმა კი ოდნავ მოგვიანებით შევიტყვეთ. ფინალის შემდეგ გრიგოლმა გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის მადლობაც გადაუხადა და ხალიჩაც ექიმების დაუხმარებლად დატოვა, მაგრამ თურმე იმ ბრძოლისას ისეთი ტვინის შერყევა მიუღია, მოგება და მისი შემდგომი სიხარული დღესაც არ ახსოვს.

ხაბარელმა 81 კილოგრამში საჭიდაოდ საფრანგეთში ხვიჩა ხუციშვილი წაიყვანა. მძიმე წონაში თბილისის თასის მომგები ალექსი დავითაშვილი, ხოლო 66-ში ნაკრების წევრ დავით მარგოშვილის მხარდამხარ ასევე თბილისის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი.

თავიდან საქართველოს ნაკრების თავკაცი ტურნირზე სრული გუნდით წარდგომას არ აპირებდა და უკვე მრავალგზის გამოცდაჩაბარებული ბიჭებიც მხოლოდ ტურნირისშემდგომ ვარჯიშებზე ფიქრობდნენ, მაგრამ პარიზში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გეგმა შეიცვალა და ხალიჩაზეც რვავე ჩვენებური გავიდა. თუმც აქვე ერთი დაზუსტებაც. ნესტორ ხერგიანმა, ზაზა კედელაშვილმა და ზურაბ ზვიადაურმა ძალები ერთით მაღალ წონებში მოსინჯეს. მიუხედავად სახელისა, პარიზის სუპერთასი მაინც ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნევა და ზედმეტი წონის კლებისგანაც ბევრი გამოცდილი ძიუდოისტი იკავებს თავს. შესაბამისად, შედეგსაც ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამ სამეულიდან უჩვეულო წონას ყველაზე უკეთ ხერგიანი შეეწყო. ხუთიდან მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო, ისიც მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ ჰიროუკი აკიმოტოსთან და საბოლოოდ ბრინჯაოს დაეუფლა. გამარჯვებით დაიწყო ამავე 66 კილოგრამში დავით მარგოშვილმაც. მან გერმანელ მანუელ მიულერს აჯობა, მაგრამ მერე ფინელ არნე პიტკანენთან კოკათი წააგო და რახან ვერ ც ფინელმა ივაჟკაცა, რეპეშაჟში გადართვის შანსიც დაკარგა.

მეორე ბრინჯაო დავით ქევხიშვილმა (73კგ) მოიპოვა. „ქევხამ“ პირველივე შეხვედრა წააგო. დამამშვიდებელ ეტაპზე კი თავის მომგებ რუმინელ კლაუდიო ბასტიაზე ძლიერი ფრანგი, იაპონელი, ბელგიელი და ლატვიელი ძიუდოისტები დაჩაგრა და კვარცხლბეკზეც ავიდა. კედელაშვილმა კი უცხო გარემოში მხოლოდ ერთი გამარჯვების მოპოვება მოასწრო.

კარგად დაიწყო ხვიჩა ხუციშვილმაც, მაგრამ მესამე წრეში უკრაინის სახელით მოჭიდავე ილია ჩიმჩიურს ველარაფერი მოუხერხა და ვინაიდან მერე ვერც ჩიმჩიურმა მოიგო, საპრიზოს შანსიც დაკარგა.

90 კილოგრამში ვისაც ვქომაგობდით სწორედ მან იჩემპიონა, თუმც საქართველოს ამით რა ხეირი? ჯარჯი ზვიადაურმა ბიძაშვილის წონაშიც ისე მოიგო ოქრო ხეირიანი წინააღმდეგობა არავის გააწევინა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ბიძაშვილები ერთმანეთს არ დასჭიდებიან და მათი შედარების სურვილი არც ჩვენ გვაქვს. ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა 100 კილოგრამში იჭიდავა, თუმცა მედლამდე ვერ მივიდა. ოქროსკენ მიმავალ გზაზე კორეელი კვანგ-სუნ იო გადაეღობა, ხოლო რეპეშაჟში კიდევ უფრო მრისხანე მეტოქესთან, ჰოლანდიელ ვან დერ გესტთან წააგო. ზვიადაურის მძლეველმა კორეელმა ოქროს მედალიც მოიგო და თან ფინალში კიდევ ერთი ჩვენებური ივერი ჯიქურაულიც დაამარცხა. არადა იქამდე ივერი მართლა ბრწყინვალე გამარჯვებებით მივიდა.

ოთხი ბრძოლიდან ორი მოიგო და ორიც წააგო ალექსი დავითაშვილმა, რაც საბოლოოდ მეშვიდე ადგილით შეუფასდა. მძიმეების ჩემპიონი კი ტუნისელი ენის ჩედლი გახდა.

ოთარ მაღლაკელიძე

60 კგ
1 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
2 ტაცუაკი ეგუსა (იაპონია)
3 მინ ჰო ჩუნ (სამხრეთ კორეა)
3 კრეიგ ფალონი (ბრიტანეთი)

66 კგ
1 ჰიროუკი აკიმოტო (იაპონია)
2 ბენიამინ დარბელე (საფრანგეთი)
3 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3 სტეფან ბიეზი (საფრანგეთი)
13 დავით მარგოშვილი (საქართველო)

73კგ
1 დანიელ ფერნანდესი (საფრნგეთი)
2 სასო ჟერები (სლოვენია)
3 დავით ქევხიშვილი (სქართველო)
3 კლაუდიუ ბასტეა (რუმინეთი)
13 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)

81კგ
1 ჯილომ ელმონტი (ჰოლანდია)
2 ფლორიან რინერტალერი (ავსტრია)
3 რობერტ კრავჩუკი (პოლონეთი)
3 ტაკაში ონო (იაპონია)
13 ხვიჩა ხუციშვილი (საქართველო)

90კგ
1 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
2 ფრედერიკ სტიგელმანი (საფრანგეთი)
3 სუნ ვო პარკი (სამხრეთ კორეა)
3 კრისტოფ ჰუმბერტი (საფრანგეთი)

100კგ
1 კვანგ-სუნ იო (სამხრეთ კორეა)
2 ივერი ჯიქურაული (საქართველო)
3 ორეიდის დესპაინი (კუბა)
3 სატოში იში (იაპონია)
9 ზურაბ ზვიადაური (საქართველო)

+100კგ
1 ენის ჩედლი (ტუნისი)
2 ჰიდეკაცუ შოდა (იაპონია)
3 ფრედრიკ ლეკანუ (საფრანგეთი)
3 ანდრეას ტოელზერი (გერმანია)
7 ალექსი დავითაშვილი (საქართველო)

უტიტულო ესპანეთმა ყველას ბდღვირი ადინა

ნახევარფინალი
ესპანეთი 33:30 ტუნისი
ხორვატია 35:32 საფრანგეთი
III ადგილისთვის
საფრანგეთი 26:25 ტუნისი
ფინალი
ესპანეთი 40 : 34 ხორვატია

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები
ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი.

REUTERS ტუნისიდან

ორკვირიან, 86-მატჩიან ჩემპიონატში ბევრი მოულოდნელი შედეგი აღინიშნა, უმთავრესი სენსაცია კი მასპინძელთა ნახევარფინალამდე მიღწევა გახდა.

ტუნისის ტურნირზე თითქმის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი (საშუალო ასაკი 25,1 წელია) პირველად აღზევდა სამედლო დონემდე. აქამდე მათთვის ათეულში მოხვედრაც პრობლემატური იყო. ისე, ზოგიერთი სპეციალისტის განცხადებით, ტუნისელთა ამხელა ნახტომი მსაჯების წაუხმარებლად არ მომხდარა. მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში მასპინძელთაგან შერცხვენილი რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი დრაჩოვმა გულისწყრომა ვერ დაფარა სერბი მსაჯების — იმბრონიევის და გრკოვიჩის მიკერძოების გამო. აქაოდა, პირველ ტაიმში როგორც კი წამოვეწიეთ და გარდატეხის საშუალება მოგვეცა, უმიზეზოდ ორი მოთამაშე გაგვიძევეს ორორი წუთითო. დრაჩოვის აზრით, სწორედ ეს გამხდარა საბოლოოდ მისი ბიჭების 11-ბურთიანი წახდენის საბაბი.

სლავთა მესაჭემ ისიც აღნიშნა, ნახევარფინალში თუ მსაჯობა ობიექტური იქნება, ესპანელები ტუნისს დაამარცხებენო. ისე აგიხდეთ ყველაფერი. ეტყობა, შვედმა არბიტრებმა ჰანსენმა და ოლსონმა დრაჩოვს „დაუჯერეს“ და მასპინძელთა წაუგებელი სერიაც შეწყდა.

თითქმის ბოლომდე დაძაბული ბრძოლა იყო — ანგარიში 21-ჯერ(!) გათანაბრდა. საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე აფრიკელები წინ იყვნენ — 26:25, მაგრამ მომდევნო ხუთწუთეულში ხუთი უპასუხო ბურთი გაუშვეს და გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ნაკრები პირველად გავიდა ფინალში.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრაც სამბურთიანი სხვაობით დასრულდა. მოქმედმა ჩემპიონმა ხორვატიამ ორგზის გვირგვინოსანი (1995, 2001) საფრანგეთი დაჩოქა. თავიდან ექსჩემპიონები დაწინაურდნენ უმთავრესად ვეტერან გრეგორ ანკეტილის ზუსტი ტყორცნებით — 6:2, მაგრამ ათ წუთში ხორვატებმა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს და ივანო ბალიჩის ორი გოლით წინ გაჭრაც — 11:9. ამის შემდეგ ფრანგებს ერთხელაც აღარ მისცემიათ წამოწევის საშუალება. ის კი არა, 52-ე წუთზე სხვაობა რვა ბურთამდე გაიზარდა — 32:24. ბალიჩმა და მირჩა ძმობამ რვა-რვა გოლი მიითვალეს, ფრანგთაგან საუკეთესომ მიშელ გიგუმ — ერთით ნაკლები.

ტუნისელებმა გუშინ საბრინჯაო თამაშიც დათმეს, თუმც ძალიან ახლოს იყვნენ მედლებთან, ტაიმიც მოიგეს — 14:10 და მერეც კარგა ხანს ინარჩუნებდნენ მეწინავეობას, მაგრამ ბებერმა ფრანგებმა (28,7 წელი) ჯერ გაუთანაბრეს ცხრა წუთით ადრე — 22:22, ხოლო როცა 40 წამიღა რჩებოდა, 34 წლის ჟოელ აბატიმ გამარჯვების ბურთი გაიტანა.

ფინალში კი ჩემპიონებმა გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს. ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ძლიერი, მაგრამ უტიტულო ესპანეთი ხორვატების დაცვას ასე გაამასხრებდა. მეათე წუთზე ანგარიში თანაბარი იყო — 6:6, მერე კი უკბილოდ და ერთფეროვნად მოთამაშე ხორვატმა ფორვარდებმა უამრავი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს, ხოლო პირინეელებმა გაცილებით ეფექტური და სწრაფი გარღვევებით უკვე შესვენებამდე მოითავეს საქმე — 21:12.

ხორვატია დამწევი აღარ იყო და მეორე ტაიმსაც ფორმალური სახე ჰქონდა. ახალგაზრდა მწვრთნელ ხუან კარლოს პასტორის ბიჭებმა დამსახურებული, მეტად ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვეს. მეტოქეები ათი დღის წინ ჯგუფურ ეტაპზე შეიბნენ და მაშინ ხორვატებმა 33:31 მოიგეს, წუხელ კი ესპანელებმა დაუჯერებელი რევანში აიღეს. აქამდე მათი საუკეთესო შედეგი მეოთხე ადგილი (1999, 2003) იყო.

გია ახალაძე

პოლო ტურნირი

მსოფლიოს ოდინდელი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი კორტზე დაბრუნებასაღარ აპირებს. მარტინამ ხუთშაბათს ითამაშა ტაილანდის ღია პირველობაზე და გერმანელ მარლენ ვაინგარტნერთან 1:6, 6:2, 6:2 მოიგო. ასე ამბობს: ამ ტურნირს ვითამაშებ და ამით მოვათავებო. პატაიას პლაჟზე ის საპლაჟო ჩოგბურთითაც მშვენივრად ერთობა და თბილ სამხრეთულ წყალშიაც კოხტად ჭყუმპალაობს.

REUTERS ბერლინიდან

როკი და დიადი

ბერლინს ყოფილა სილვესტრ სტალონე, რომელსაც „ოქროს კამერა“ გადასცეს. ოღონდაც, მას არანაკლებ მნიშვნელოვანი ნივთები უპყრია ხელთ. დიდი გერმანელი მოკრივის, ოსკარ შმერლინგის ფოტო და მისგან ნაჩუქარი ხელთათმანი მოკრივე როკის როლის შესრულებისთვის. შმერლინგი გასულ ოთხშაბათს 99 წლისა გარდაიცვალა ჰამბურგში და ჯო ლუისთან დიადი ბრძოლებით შევიდა კრივის ისტორიაში, ვითარცა მისი ნოკაუტით დამმარცხებელი.



REUTERS ჯო ლაბნიდან

REUTERS მოსკოვიდან

მხოლოდ მეხუთე

ირენ ვასტმმა მთელი მონდომებით გაიქროლა 3 ათასი მეტრი ყინულზე, თუმც შედეგი არ მოეწონა: ჰოლანდიელი მხოლოდ მეხუთე გამოდგა საერთო ცხრილში. ციგურაობის მსოფლიო თასი კი მოსკოვთან, კრილატსკოეში მიმდინარეობს.

REUTERS ვანკუვერიდან

ეს შარშანდელი ფოტოა: მსაჯი ბადეს ამოწმებს ვანკუვერში თამაშის წინ. ნლეულს ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის. ნჰლ-ს მოთამაშეებისა და უფროსობის მოლაპარაკება ოთხსაათიანი სჯა-ბაასის შემდეგ იმგვარ ჩიხში შევიდა, რომ ჩემპიონატი რომც დაიწყოს, ნებისმიერ წამს შეიძლება შეწყდეს. არც ერთი მხარე არ თმობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარუანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge